



# მენორა

გამოდის  
1993 წლის  
მარტიდან

ღამოუკიდებელი ებრაული ბაზეთი საქართველოში

„MENORA“ INDEPENDENT JEWISH NEWSPAPER IN GEORGIA

## הנורה

„МЕНОРА“ НЕЗАВИСИМАЯ ЕВРЕЙСКАЯ ГАЗЕТА В ГРУЗИИ

დეკემბერი  
(ტევეთი)  
№13 (399)  
(5776)  
2014

„הנורה“  
עיתון יהודי  
בגור

### პრემიერმა ირაკლი ღარიბაშვილმა სინაგოგაში ხანუქის პირველი სანთელი აანთო



საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თბილისის მთავარ სინაგოგაში ხანუქის პირველი სანთელი აანთო და ებრაელ ხალხს ხანუქის დღესასწაული მიულოცა.

„გულითადად ვულოცავ ებრაელ ხალხს ხანუქის დღესასწაულს. ეს უძველესი დღესასწაული სინათლის სიბნელეზე გამარჯვების, სიკეთის ბოროტებაზე, სამართლიანობის უსამართლობაზე გამარჯვების სიმბოლოა. ქართველებსა და ებრაელებს აკავშირებთ განსაკუთრებული მეგობრობა. ეს არის, მართლაც, გამორჩეული ურთიერთობა,“ – განაცხადა პრემიერმა.

მთავრობის მეთაურის თქმით, საქართველოში წელს საზეიმოდ აღინიშნა 26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილე და ბიძინა ივანიშვილის ძალისხმევით გაიხსნა საქართველოს ებრაელთა ისტორიის მუზეუმი.

„26 საუკუნოვანი მეგობრობის იუბილე დაგვირგვინდა ებრაელთა ისტორიის მუზეუმის გახსნით, რომელიც დააფინანსა ბიძინა ივანიშვილმა. მისივე ძალისხმევით გარემონტდა საქართველოში მოქმედი სინაგოგები. ბიძინა ივანიშვილის დამსახურებაა, რომ ბოლო ორი წლის განმავლობაში განსაკუთრებით განმტკიცდა ქართულ-ებრაული ურთიერთობები. ჩვენი მთავრობა ამ გზას, ამ პოლიტიკას გააგრძელებს და ყოველთვის გვექნება განსაკუთრებული დამოკიდებულება ჩვენი ძმების მიმართ, ისრაელის სახელმწიფოს მიმართ,“ – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

სინაგოგაში, პრემიერ-მინისტრთან ერთად, იმყოფებოდნენ თბილისის მერი დავით ნარმანია და ისრაელის ელჩი საქართველოში იუვალ ფუქსი



პრეზიდენტმა ბიძინა ივანიშვილმა სინაგოგაში ხანუქის ბოლო სანთელი აანთო და ებრაელებს დღესასწაული მიულოცა

### ბარაკ ობამა: „მე სულის სიღრმეში ებრაელი ვარ“



ეს სიტყვები ბარაკ ობამამ წარმოთქვა თეთრ სახლში ხანუქის პირველი სანთლის ანთებისას. დღესასწაულზე თეთრ სახლში მიწვეულნი გახლდნენ ამერიკის ებრაული თემის 550 წარმომადგენელი.

### მიხეილ მირილაშვილის ხელმძღვანელობით



მიხეილ მირილაშვილი, როგორც რუსეთის ებრაელთა კონგრესის პეტერბურგის განყოფილების პრეზიდენტი, უკვე ოცდამეხუთედ ატარებს ხანუქის დღესასწაულს სანკტ-პეტერბურგში. 18 დეკემბერს ხანუქის სანთელი პეტერბურგის მრავალათასიან დარბაზში ჩატარდა. სადღესასწაულო საღამოზე სიტყვები წარმოთქვა: ისრაელის აშქენაზთა მთავარმა რაბინმა დავიდ ლაუმ, რუსეთის მთავარმა რაბინმა ბერლ ლაზარმა, თავად მიხეილ მირილაშვილმა. საღამოს ესწრებოდნენ:

რუსეთის პრეზიდენტის წარმომადგენელი ლ. სოვერბაევა, პეტერბურგის საკანონმდებლო კრების თავმჯდომარე ვ. მაკაროვი, ქალაქის ვიცე-გუბერნატორი. ა. გოგორუნოვი.

სანკტ-პეტერბურგში ხანუქის დღესასწაულზე მონაწილემა ისრაელის ალიისა და აბსორბციის მინისტრმა სოფა ლანდვერმა თქვა:

„ხანუქაში სასწაულის აღვნიშნავთ. ისრაელის სახელმწიფო, რომელსაც მე აქ წარმოვადგენ, კიდევ ერთი სასწაულია. ჩვენ ყოველთვის თქვენთან ვართ, ვფიქრობთ თქვენზე, მზადა ვართ დაგეხმაროთ.“

### ინდოეთის პრემიერ-მინისტრის მილოცვა

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნარენდრა მოდემ ებრაელ ხალხს თავის მიკრობლოგში ებრაელობას ხანუქა ივრითზე მიულოცა: „ყველა მეგობარ ებრაელს ვუსურვებ მხიარულ ხანუქას. დაე, სინათლის ეს დღესასწაული ყოფილიყოს დასაწყისი მშვიდობისა და იმედიანობისა“.

ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ებრაელობას ინგლისურ ენაზეც მიულოცა.

# ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს სხდომა აფხაზეთი კონგრესის თავსატეხიც გახდა

1 და 2 დეკემბერს იერუსალიმში გაიმართა ევრაზიის ებრაელთა კონგრესის გენერალური საბჭოს სხდომა, რომელსაც თავმჯდომარეობდა იოსიფ ზისელსი. ეაეკ-ი ყველა თავყრილობას ისრაელთან სოლიდარობის მიზნით სწორედ იერუსალიმში მართავს.

საბჭოზე პირველი სიტყვა წარმოთქვა კონგრესის პრეზიდენტმა — ავსტრიის „მაინლანდის“ სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარემ იულიუს მაინლმა. მან მოახლოებული დიდი დღესასწაულის — ხანუქის ჭრილში განიხილა კონგრესის წინაშე არსებული ამოცანები.

— ორიოდ კვირაც და ჩვენს ფანჯრებთან აინთება სანთლები, რომლებიც კიდევ ერთხელ შეგვახსენებს ებრაელი ერის მარადიულ გამარჯვებას სიბნელეზე. კონგრესის ძირითადი ამოცანა ებრაელთა ხანუქის დღესასწაულის არსს — ყოველმა ებრაელმა გაიცნობიეროს თავისი იდენტურობა, იყოს ისრაელთან ერთად.

ანტისემიტიზმზე საუბრისას იულიუს მაინლმა აღნიშნა, რომ მასთან ბრძოლის ერთ-ერთი დიდი საშუალება სწორედ ეროვნული სულისკვეთების გაძლიერება — კარგად გააზრებული, ორგანიზებული თემია. სწორედ ეს აძლიერებს ეროვნულ თვითშეგნებას. ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისათვის, რომ გავაღრმავოთ ებრაული კულტურა, თვითშეგნება, განათლება, შევისწავლოთ კულტურული მემკვიდრეობა.

პრეზიდენტმა ისაუბრა ისრაელის პოლიტიკურ წრეებში შექმნილ სიტუაციაზე და გამოთქვა რწმენა, რომ ყველა საკითხი მალე მოგვარდება (მართლაც, მერე დღესვე — 2 დეკემბერს პრემიერ-მინისტრმა ნეთანიაჰუმ მთავრობა დაშალა და ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები გამოაცხადა), ისრაელი გაუმკლავდება როგორც გარეშე, ასევე შინაურ მტერს.

გენერალური ასამბლეის სხდომაზე განიხილეს განვლილი მუშაობის შედეგები, კონგრესის წესდებაში ცვლილებების შეტანის საკითხი, მოისმინეს ინფორმაცია კონგრესში შემავალ რეგიონებში (მსოფლიოს 28 სახელმწიფო) ებრაელთა ყოფისა.

იულიუს მაინლმა წარმოადგინა ვიცე-პრეზიდენტების ახალი კანდიდატები (კონგრესის ბიუჯეტი ხომ პრეზიდენტის, პირველი ვიცე-პრეზიდენტის, ვიცე-პრეზიდენტებისა და ცალკეულ პირთა, ქველმოქმედთა შემონირობებისაგან შეესდგება). ესენი არიან ალექსანდრე გრანოვსკი, პიტერ კენიგი და მარკ შაბადი. ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პირველ ვიცე-პრეზიდენტად წამოყენებული კი იქნა ბიზნესმენისა და ფილანთროპის მიხეილ მირილაშვილის კანდიდატურა. გაიმართა მსჯელობა წარმოდგენილი კანდიდატების შესაბამისობის თაობაზე. გენსაბჭოს წევრებმა განიხილეს ყოველი კანდიდატურა. განსაკუთრებული



ყურადღება გამახვილდა პირველი ვიცე-პრეზიდენტის მიხეილ მირილაშვილის კანდიდატურაზე. სასიამოვნო გახლდათ ის, რომ ამ ქართველი ებრაელი ბიზნესმენისა და ფილანთროპის მიმართ ევრაზიის რეგიონის ებრაელობის წარმომადგენლებმა ქების სიტყვები არ დაიშურეს. ისაუბრეს მიხ. მირილაშვილის დამსახურებაზე სსრკ-დსთს ტერიტორიაზე ებრაული მოძრაობის გააქტიურებაში, ხაზი გაესვა იმ გარემოებასაც რომ მიხეილ მირილაშვილმა გასულ წელს, როცა წინა პრესიდენტს უთანხმოება ჰქონდა კონგრესის სხვა ხელმძღვანელებთან, სახელოვნად გასწია ევრაზიის ებრაელთა კონგრესის პრეზიდენტობა,

ევრაზიის ებრაელთა კონგრესის ხელმძღვანელობა შეხვდა ისრაელის საგარეო მსაქმეთა მინისტრს ავიგდორ ლიბერმანს, ისრაელის ყოფილ პრესიდენტს შიმონ პერესს, პრემიერ-მინისტრის კანცელარიის ხელმძღვანელის არი ჰეროუს. ამ პიროვნებებთან საუბარში კიდევ ერთხელ გაესვა ხაზი კონგრესის მოღვაწეობის მთავარ მიმართულებას — ისრაელის ინტერესების დაცვა, შეებრძოლოს ისრაელის დელეგაციის ყოველ გამოვლინებას, სოლიდარობა გამოუცხადოს სახელმწიფო სტრუქტურების ყოველ სასიკეთო ნაბიჯს. თავის მხრივ ავიგდორ ლიბერმანმა, შიმონ პერესმა და არი ჰეროუმ ისაუბრეს დღევანდელი ისრაელის წინაშე არსებულ მწვავე გამოწვევებზე. ესენია: ირანის ატომური ამბიციის, პალესტინელთა ტერორი, პარტიული უთანხმოებანი და ა. შ. ამ ფონზე ესოდენ ავტორიტეტული საზოგადოებრივი ორგანიზაციის სოლიდარობა მნიშვნელოვანია.

პლენარულ სხდომაზე გენსაბჭოს წევრები გაეცნენ კონგრესის პრეზიდენტის გადაწყვეტილებას აფხაზეთთან დაკავშირებით: აფხაზეთის ებრაელთა თემმა კონგრესის წინაშე დასვა საკითხი აფხაზეთის ებრაელობის კონგრესში მიღების თაობაზე. მათი მიზანია კონგრესის შემადგენლობაში შევიდნენ, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს საზოგადოებრივი ებრაული ორგანიზაცია (ისინი ამ საკითხის წლებში

განმავლობაში სვამდნენ, მაგრამ ბოლო ხანს მეტად გააქტიურდნენ). პრეზიდენტმა დაადგინა, რომ ეს საკითხი გადაწყდეს საქართველოს ებრაული თემის წარმომადგენლებთან, განსაკუთრებით კი, მიხეილ მირილაშვილთან მოლაპარაკების შედეგად.

აფხაზეთის ევრაზიის ებრაელთა კონგრესის წევრად მიღებასთან დაკავშირებით გენსაბჭოს სხდომაზე ითქვა:

**გურამ ბათიაშვილი:** მე მინდა

თქვენი ყურადღება გავამახვილო რამდენიმე საკითხზე. პირველი: აფხაზეთის კონგრესის შემადგენლობაში ვერ მივიღებთ. აფხაზეთი გახლავთ არალიბერული, სეპარატისტული რეგიონი, რომელიც იყო და იქნება საქართველოს ნაწილი. ჩემზე არანაკლებ მოგეხსენებათ, თუ რამდენი საუკუნე გახლდათ იერუსალიმი მტრის ხელში და როგორ ამბობდნენ ჩვენი წინაპრები: „თუ დაგივინყო, იერუსალიმი“ დღეს საქართველოში ვამბობთ „თუ დაგივინყო, აფხაზეთი...“ ასე რომ ეს ყველაფერი დროებითია — უფრო ხანგრძლივი ოკუპაცია გვახსოვს.

2. თუ აფხაზეთის ებრაულ თემს ექნება სურვილი კონგრესში შემოვიდეს, როგორც საქართველოს ერთ-ერთი რეგიონი, ჩვენ ამ წინადადებას მხარს დავუჭერთ.

3. აფხაზეთის ებრაული თემი სვამს მაცით დახმარების მიღების საკითხს. მათ სწადათ დაეხმარათ ფესახისათვის მაცით. ეს საფრთხილი ნორმალური. ლეგიტიმური თხოვნაა. რასაკვირველია, უნდა დავეხმაროთ. ჩვენ უნდა შევეცადოთ ყოველმა ებრაელმა სადაც არ უნდა იყოს იგი, დედამიწის რომელ რეგიონში, კარგად გაითვინოს ეგვიპტელთა მონობიდან თავის დაღწევის, ქანაანისაკენ დაძვრის ეს დიდი დღესასწაული. თუმცა, აქ გვექნებოდა ერთი თხოვნა: ვიმეორებ: აფხაზეთი არის საქართველოს ნაწილი და სოხუმში მაცა უნდა შევიდეს საქართველოდან. აფხაზეთის ებრაელობისათვის განკუთვნილი მაცა გამოიგზავნოს თბილისში, ისევე, როგორც იგზავნება თბილისის, გორის ქუთაისის ხესედისთვის, მე გენერალურ საბჭოს ვაძლევ პირობას, რომ ამ მაცას თავად ჩავიტან აფხაზეთის პირობით საზღვრამდე.

**მიხეილ ჩლანოვი** (ეაეკ-ის გენერალური მდივანი) დღეს აფხაზეთში 250 ებრაელი ცხოვრობს. აქედან სამი ქართველი ებრაელის ოჯახია. ისინი არ მოისურვებენ მაცა საქართველოს გავლით მიიღონ.

**გურამ ბათიაშვილი:** იქ წლებში განმავლობაში იყო ერთი ქართველი ებრაელი მოხუცი ქალბატონი, მარტოხელა ქალი. ნუთუ, ასე გამრავლდა?

**ელენა ბერკოვიჩი:** აქ ითქვა, რომ აფხაზეთში 250 ებრაელია. არა ვგონებ ეს სწორი იყოს. ომის დროს აფხაზეთში მცხოვრები ყველა ებრაელი ისრაელში გაიყვანეს. ეს იყო სოხნუთის ძალიან სერიოზული ოპერაცია.

**გურამ ბათიაშვილი:** მაგ ოპერაციაში მეც ვმონაწილეობდი. სოხუმის ებრაელობა ჯერ თბილისში ჩამოჰყავდათ, მერე ისრაელში ვაცხილებდით. სოხნუთმა ცეცხლის ხაზიდან გამოიყვანა ებრაელობა.

**ელენა ბერკოვიჩი:** დიახ. ამბობდნენ, მხოლოდ ერთი ქართველი ებრაელი დედაბერი დარჩაო. დღეს ასე როგორ მომრავლდნენ, რომ 250 ადამიანია. ხოლო თუ მაცა აფხაზეთს შეუყვარდათ, სანინალმდეგო არაფერი მაქვს — მივაშველოთ. რაც შეეხება კონგრესში აფხაზეთის მიღებას, ეს დაუშვებელია. რადგან აფხაზეთი გახლავთ სეპარატისტული სახელმწიფო, რომელსაც საერთაშორისო თანამეგობრობა არ აღიარებს. აქ ვილაპარაკებ თქვა დამკვირვებლად მაინც მივილოთო. ჩვენი კონგრესის ვერც ამის უფლებას მისცემს თავს.

**მიხეილ მირილაშვილი:** ევრაზიის ებრაელთა კონგრესი აპოლიტიკური ორგანიზაციაა. ჩვენ არა-რა კავშირი არა გვაქვს პოლიტიკასთან. ამჟამად საკითხის დგას ასე: ებრაელები გვთხოვენ დახმარებას, რომ კარგად შეეგებნონ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს. ჩვენი ვალია დავეხმაროთ.

კონგრესის გენერალურ დირექტორად დაინიშნა დ-რი ხაიმ ბენ იაკობი, ხოლო მის მოადგილედ ნატაშა შმიდტი.



# ქართველ ებრაელთა პუბლიცისტური მოღვაწეობის სათავეებთან

ავთანდილ ნიკოლეიშვილი

(დასასრული. დასაწყისი იხ. „მ“ №12)

დ. ბააზოვის თქმით, ებრაელობა მსოფლიოში ერთადერთი ხალხია, რომელიც „თვით სარწმუნოებამ შეჰქმნა“ ერა. ამიტომ თუ სარწმუნოებას გამოვაცლით ებრაელს, ის მთლად მოწყვეტილია ებრაელობას ყოველმხრივ. მაგრამ თუ სარწმუნოება ებრაელს სწამს, მხოლოდ მაშინ უკავშირდება ჩვენს ერს, რადგანაც ებრაელთა ერი, სარწმუნოება და ეროვნება განუყოფელია“ („სამშობლო“, 1916 წ. 399).

მიუხედავად ყოველივე ზემოთქმულისა, დ. ბააზოვი დამონებული პუბლიკაციებიდან და მის სხვა წერილებშიც ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, რომ ებრაელთა ეთნიკურ წარმომავლობაზე მისი ამგვარი საუბარი სრულებითაც არ ნიშნავდა ქართველებისაგან მათ გამიჯვნასა და მათთან დაპირისპირებას. მისი თქმით, „ქართველი ერი სწორედ იმითაა საქები, რომ მათ არ მოსწონთ ის, ვინც სამშობლოს ღალატობს. მათ იცინან, რომ ასიმილაციის წესი ასეა, დღეს ქართველად აღიარებ თავს, ხვალ რუსები მოგენონება და მათთან გაიქცევი.“ აქედან გამომდინარე, იგი კიდევ ერთხელ შეახსენებს მის ოპონენტებს, რომ ქართველი ერისათვის ამდაგვარი დესპოტიზმი სრულიად უცხო იყო და მას არასოდეს გაუხდია ვინმე იძულებული, საკუთარ ეროვნებაზე უარი ეთქვა და ამით მოეპოვებინა საქართველოში მშვიდად ცხოვრების უფლება. მისი თქმით, ბევრი სხვა ხალხისაგან განსხვავებით, „ქართველი ერი იმითაცაა ნაქები, არ ცდილობს სხვა ერების გათქვეფას და არც თავად სურს სხვა ერებში გაითქვიფოს.“ პირველ ყოვლისა, სწორედ ამ გარემოებამ განაპირობა ის ფაქტი, რომ „ჩვენში ებრაელობა არასოდეს ყოფილა დევნილი და ემიგრაციაც არ ხდებოდა“ („სამშობლო“, 1915 წ. 18 ნომბერი).

პუბლიცისტის ამგვარ მსჯელობას ლოგიკურად მოსდევს მადლიერების გამოხატვა ქართველი ერისადმი მისი სულგრძელობისა და შემწყნარებლობის გამო და მოწოდება იმისა, ყოველივე ამის სანაცვლოდ მათთვის არა „მაგარი ფრაზეებით, ყვირილითა და ლაპარაკით“ რომ უნდა გადაეხადათ სამაგიერო, არამედ საქმით. ასე რომ, დ. ბააზოვის დასკვნით, „კაი ებრაელი კაი ქართველის მოძმეა და კაი მამულიშვილიც იქნება საქართველოსი და არასოდეს ნაკლებად არ შესწირავს თავს საქართველოს ინტერესებს, ვიდრე თვით ქართველი. ქართველი ხალხის კეთილი დღეს ჩვენს კეთილდღეობას ნიშნავს და ამას სრულიად ხელს არ უშლის ჩვენი ებრაელობა და არც ქართველობა შემომლის ხელს, რომ დავრჩე ძველებურად, რაც ვარ“ („სახალხო ფურცელი“, 1916 წლის 31 აგვისტო).

ეს რომ მხოლოდ სიტყვიერ მოწოდებად არ დარჩენილა, ხსენებულ პერიოდში მოღვაწე ქართველმა ებრაელებმა მეტად მნიშვნელოვანი იმ წვლილითაც ნათლად დაამტკიცეს, რომელიც მათ 1918 წელს საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის, ქართული სახელმწიფოს მშენებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის დასაცავად გამართულ ბრძოლებში აქვთ შეტანილი.

მაგალითად, როგორც შესაბამისი პერიოდის ქართულ პრესაში დასტამებული მასალებით ირკვევა, საქართველოს სახელმწიფოებრივი და-

მოუკიდებლობის აღდგენამდე ორი წლით ადრე, 1916 წელს, რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში ჩვენი ქვეყნისთვის ავტონომიის სტატუსის მოსაპოვებლად მეზობელ ქართველ პატრიოტთა მხარდასაჭერად დ. ბააზოვი თავის თანამემამულეებსაც რაზმავდა აქტიურად. კერძოდ, გაზეთების: „საქართველოსა“ (1916 წ. 117) და „სამშობლოს“ (1916 წ. 366) ინფორმაციით, ამიერკავკასიის ერობის შემოღების გამო ონში მისი თავკაცობით ებრაელთა სალოცავში 400 კაცი შეკრებილა. მათ წინაშე გამოსვლის დროს წარმოთქმულ თავის „მგრძობიარე სიტყვაში“ დ. ბააზოვი ასეთი მოწოდებით გამოსულა: „ძმებო! ხელჩართულნი წავიდეთ ქართველ ერთან ერთად სამშობლო საქართველოს ასაყვავებლად და ამით გადავიხადოთ ის ვალი, რომელიც გვემართა მათ წინაშეო.“

რაც უფრო ახლოვდებოდა 1918 წლის 26 მაისი – ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის დღე – საქართველოს მხარდამჭერ ქართველ ებრაელთა მოქალაქეობრივი აქტიურობა მით უფრო იზრდებოდა. ეს რომ მართლაც ასე იყო, ამას გაზეთ „საქართველოს“ 1917 წლის 13 აპრილის ნომერში გამოქვეყნებული ეს ინფორმაციაც ადასტურებს: „14 მაისს ონის (რაჭაში) ებრაელებმა რაბინ დავით ბააზოვის მეთაურობით დ. ონში გამართა ადგილობრივ შეგნებულ ახალგაზრდა ებრაელთა კრება ბ. ა. ჩაჩაშვილის თავმჯდომარეობით. რაბინმა ბააზოვმა დაუსურათა კრებას ძველი რეჟიმის უსამართლობა ებრაელებისადმი და მიუთითა ძმურ დამოკიდებულებაზე, რომელიც სუფევს საქართველოში ქართველებსა და ებრაელებს შუა. კრებამ მოითხოვა აუცილებლად საქართველოსთვის სრული ავტონომია, სადაც ებრაელთ ექნებათ სრული შეება და თავისუფლება. კრებამ ერთხმად დაადგინა, მიმართოს ქ. პეტროგრადში ებრაელების დეპუტაციას, ... მედგრად დაუჭიროს მხარი სამართლიან ქართველი ერის მოთხოვნებს, როგორც ტანჯულმა ებრაელის შვილმა თანაუგრძნოს ტანჯულ ქართველ ერს და ამით გააძლიეროს ჩვენში ძმობა და ამხანაგობა.“

ჩვენი საზოგადოების უდიდეს ნაწილთან ერთად, ქართველი ებრაელებიც სიხარულით შეხვდნენ 1917 წლის რევოლუციას, რასაც შედეგად რუსეთის იმპერიის დასაგრევა მოჰყვა. გარდა იმისა, რომ ეს მოვლენა რეალურ საფუძველს ქმნიდა ჩვენი ქვეყნის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღსადგენად, იგი რუსეთის იმპერიაში მცხოვრებ „წვრილ“ ხალხებსაც უსახავდა თავისუფალი განვითარების პერსპექტივას. ხსენებული ისტორიულ მოვლენას იმდროინდელ ქართულ პრესაში გამოქვეყნებულ წერილებში ქართველი ებრაელებიც სწორედ ასეთ შეფასებას აძლევდნენ. მაგალითად, 1917 წლის 27 აპრილს გაზეთ „საქართველოში“ დაბეჭდილ სტატიაში თავისი დიდი სიხარული და სამომავლო მოლოდინი დ. ბააზოვმა ასე გამოხატა: „117 წელიწადია, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. მას შემდეგ იტანჯება... დაჰყარვა თავისი ბედნიერება... ჩვენ, ქართველი ებრაელები, მასთან ერთად და კიდევ უარესად ვიტანჯებოდით... ჩვენდა სასიხარულოდ, ქართველმა ერმა გამოიღვიძა, თავის თავი იცნო და თავისი მამა-პაპის სამკვიდროს

ითხოვს... ყველა ჯგუფის პირით გაისმის ავტონომია საქართველოსაო! ეს არის სამართლიანი მოთხოვნა და თუკი რუსეთის ახალი მთავრობა სამართლიანობას ემსახურება, მან უნდა შეასრულოს ქართველი ერის ეს მოთხოვნა... ჩვენ, ქართველი ებრაელები, ვალდებული ვართ ყოველი ღონისძიებით მხარი დაუჭიროთ მას.“

როგორც დ. ბააზოვის მოღვაწეობა ადასტურებს, ქართველი ხალხის ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესების დაცვისაკენ თავის მოძმეებს იგი არა მარტო სიტყვიერად მოუწოდებდა, არამედ აქტიურ პრაქტიკულ მონაწილეობასაც იღებდა ამ მიმართულებით იმხანად განვითარებულ მოვლენებში. სწორედ ამის ერთ-ერთ ნათელ დადასტურებად უნდა მივიჩნიოთ ის ფაქტი, რომ 1917 წლის თებერვლის რევოლუციის შემდეგ ონელმა ებრაელებმა უშუალოდ მისი ინიციატივით პეტროგრადში ებრაელ დეპუტატებს: ფრიდმანსა და მის მეგობრებს სპეციალური დეპუტატი გაუგზავნეს იმის თხოვნით, „როგორც დაზარალებული ერის შვილთ, ყოველი ღონისძიებით დაეცვათ ქართველი ერის მოთხოვნა, რადგან კადეტთა პარტიამ მათი გავლენა დიდი იყო... ჩვენ, – ნერდა იგი დეპუტატის ბოლოს, – დიდი სიხარულით ველით, რომ საქართველომ ავტონომია მიიღოს! ჩვენ მზად ვართ ქართველ ერთან ერთად ამას თავი მეგნოროთ!“

სამწუხაროდ, დ. ბააზოვისა და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ მათი ოპონენტების ბრძოლა არც საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგ დამცხრალა და ისინი მათ ამჯერად კიდევ უფრო მეტი აგრესიით დაუპირისპირდნენ. კერძოდ, დ. ბააზოვის მიერ ასიმილაციითა და სხელით მონათლული ჯგუფის წევრები ამჯერად უკვე იმაშიც დებდნენ ბრალს, თითქოს თავიანთი პრაქტიკული საქმიანობით ისინი ქართველ ხალხს ღალატობდნენ და მათი მოღვაწეობის უმთავრეს მიზანს ქართველებისაგან ებრაელთა ჩამოშორება წარმოადგენდა.

ამ თვალსაზრისით განსაკუთრებულ აქტიურობას იჩენდა იოსებ ხანანაშვილი. 1919 წლის 25 ოქტომბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულ წერილში მან დავით ბააზოვს კიდევ ერთხელ დასდო ბრალი სიონისტობაში და იგი საქართველოს მოლატედ გამოაცხადა. თავის საპასუხო წერილში (გაზ. „ერთობა“, 1919 წლის 7 ნომბერი) დ. ბააზოვმა არა მარტო ზოგადად უარყო მის მიმართ წაყენებული ეს უსაფუძვლო ბრალდებები, არამედ კონკრეტული ფაქტებითაც და არგუმენტებითაც წარმოაჩინა მისი აქტიური თანამონაწილეობა საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ინტერესებისათვის ბრძოლაში.

ნათქვამისათვის მეტი სიცხადის მისაცემად დავიმოწმებ ფრაგმენტს ი. ხანანაშვილის წინააღმდეგ მიმართული ამ პუბლიკაციიდან: „მე თქვენ დაგიმტკიცებთ მრავალი საბუთებით, რომ მე დიდი მომხრე ვიყავ საქართველოს დამოუკიდებლობისა... როცა ავტონომიაზე ლაპარაკი არ შეიძლებოდა, გაზ. „საქართველოს“ ფურცლებზე იყო დაბეჭდილი დიდი ასოებით შინაარსი იმ დეპუტატის, რომელიც გაგზავნა ონის ებრაელობამ ქ. პეტროგრადში დეპ. ფრიდმანის სახელზე, სადაც ითხოვდა ებრაელების სახელით ყოველი დახმარება გაენია საქართველოს ავტონომიის განხორციელებისათვის... რომ მე ავტონომიის მომხრე თავიდან ვიყავი, ამას დაამტკიცებს ჩემი წერილები ქართულ გაზეთებში 1915–16–17 წლებში. დაამტკიცებს ჩემი ერთი წლის

მუშაობა ქ. ახალციხეში ქართველთა ინტერპარტიულ საბჭოში... დაამტკიცოს შემდეგმა ამბავმა. ქ. ახალციხე თათრებიდან ალყაშემორტყმული იყო წასულ წელს. იმ დროს გავიგეთ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება. მთელმა ქ. ახალციხის მაცხოვრებლებმა თავი მოიყარა ქალაქის თვითმმართველობაში და იქ რუსეთის სოც. დემობმა გაილაშქრეს ჩვენი ბელადების წინააღმდეგ, დაამტკიცებს იმ დღის მრავალრიცხოვანი კრების ოქმი, როგორ ვიბრძოდით მათ წინააღმდეგ და ვიცავდი ჩვენი დამოუკიდებლობის სამართლიანობას... მე სადაც ვიცხოვრე, – ნერდა დ. ბააზოვი ხსენებული პუბლიკაციის ბოლოს, – ყველგან დიდი ძმობა, სიყვარულობა სუფევს ქართველებსა და ებრაელებს შორის. ეს ასედაც იქნება შემდეგში. თქვენ კი ხელოვნურად აგდებთ ამ შურს. თქვენ უნერგავთ ქართველებს გულში ისეთ აზრს, ვითომც ვინც ქართველად არ თვლის თავს, ის საქართველოსა და მისი მთავრობის მტერი იყოს... თქვენი ბოროტი ენა ვერ შეძლებს ჩვენი „ორპირობის“ დამტკიცებას. რასაც ვამბობდით წინათ, იმას ვამბობთ ახლაც, იმას ვიტყვით შემდეგშიც. ჩვენ ებრაელები ვართ და ვიქნებით კიდევ. ჩვენ, ებრაელებს, გვმართებს ვალი საქართველოსი. არ გავკოტრდებით, სახელს არ შევიცვლით იმიტომ, რომ ჩვენ გვწამს ჩვენი ვალი და მას პირნათლად შევასრულებთ საქართველოს წინაშე. ჩვენ გვიყვარს საქართველო – გვეყვარება კიდევ. ჩვენ ძმები ვიყავით ქართველებისა და ვიქნებით კიდევ.“

ჩემი ღრმა რწმენით, ციტირებულ ფრაგმენტში დ. ბააზოვის მიერ გამოვლენილი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი პოზიცია ერთგვარად იდეალიზებული ფორმითაც კი გამოხატავს ურთიერთობათა იმ მოდელს, რომელიც ქართველებსა და ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ სხვა ეროვნებათა შორის უნდა იყოს რეალურად დამკვიდრებული. თუ საქართველოს მკვიდრად ქცეული არაქართველი მოსახლეობა ასეთი გულშემმატკვირობითა და ერთგულებით არ მოუკიდებდა ჩვენი საერთო სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს და მისი დამოუკიდებლობის დასაცავად ბრძოლას თავის მოქალაქეობრივ მოვალეობად არ ჩათვლის, საქართველოს სახელმწიფოებრივი ძლიერების საფუძველი ყოველთვის სუსტი და მერყევი იქნება.

იმის გამო, რომ საბჭოთა პერიოდის ისტორიული მეცნიერება და ლიტერატურათმცოდნეობა ეროვნულ პრობლემათა კვლევას ან ნაკლებ ყურადღებას აქცევდა, ანდა იმდროინდელი იდეოლოგიური პრინციპების ზეგავლენით წარმართავდა, ქართველ ებრაელთა მთლიანობის იმ ნიმუშებს, სადაც მათი ეს პრობლემები იყო დასმული და გაანალიზებული, ნაკლები ყურადღება ეთმობოდა. აღნიშნულმა გარემოებამ არსებითად განაპირობა ის ფაქტი, რომ ქართველ ებრაელთა პუბლიცისტის ბევრი ნიმუში თითქმის მთლიანად დარჩა მეცნიერული ინტერესების მიღმა.

ყოველივე ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ქართველ ებრაელთა მიერ გამოქვეყნებული პუბლიცისტური წერილების მოძიება და შესწავლა არა მარტო ქართველ ებრაელთა წარსულის კიდევ უფრო ღრმად და საფუძვლიანად გააზრების საქმეში შეიტანს უაღრესად მნიშვნელოვან წვლილს, არამედ ქართველი და ებრაელი ხალხების მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური და მეგობრული თანაცხოვრების უნიკალური ისტორიასაც გაამდიდრებს ახალი მასალებით.

ფიქრები ხაზაღალა

ზნეობრივი გმირის თაობაზე ანუ

ნოე, მამა აბრაჰამი და მოსე

გურამ პათიაშვილი

ფასეულობა და დეველვაციის ეპოქაში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ზნეობრივი გმირის საკითხი. დღეს ხალხის ყურადღების მიქცევას, მათი კეთილგანწყობის მოპოვებას თავგამოდებით ცდილობენ პოლიტიკური პერსონალები. ამათ არც შოუ-ბიზნესის მეტნაკლებად სკანდალური პიროვნებები ჩამორჩებიან. პარალელურად იკვეთება საზოგადოების ამ ნაწილისადმი ხალხის აპათიური დამოკიდებულება. ამგვარი დამოკიდებულების ერთ უმთავრეს მიზეზად ის მიიჩნევა, რომ არ ხდება ამ „ცნობად სახეთა“ ზნეობრივ პიროვნებებზე გარდაქმნა. პოლიტიკურ პერსონალიათა დამოკიდებულება ხალხისადმი, დათქმული სიტყვისადმი, მათი ცხოვრების წესი უმეტესწილად განპირობებულია არა ზნეობრივი კატეგორიებით, არამედ პარტიული, ზოგ შემთხვევაში, პირადი ინტერესებით. ჩვენს ეპოქაში მწვავედ დგას ზნეობრივი გმირის საკითხი და თუ ბოლომდე გულახდილი ვიქნებით, განიცდის ნაკლებობას სიმცირეს ადამიანებისა, რომელთა მიზანი ხალხის არა საარჩევნო ყუთთან მათთვის საამო განწყობით მიყვანა, არამედ მათი ჯანსაღი ყოფა, სულიერი ამაღლება გახლავთ. მართალია, ბერტოლდ ბრეხტი საბრალოდ მიიჩნევს საზოგადოებას, რომელსაც გმირი სჭირია, გმირს ელოდება, მაგრამ ამგვარი რეალობა — შესაბრალოდ — ხომ იმან შობა, რომ ხალხს არ ჰყავდა, ან არა ჰყავს, ზნეობრივი გმირი, რომელიც მის არსებობას, ყოფას შინაარსით დატვირთავდა.

ხალხისათვის ზნეობრივი გმირი ორიენტირია. მისდევს მას. ამ მხრივ ძალიან დიდ გაცვეთილს გვიტარებს ძველი ალექსანდრე. ოცდაცამეტი საუკუნის წინათ შექმნილი კაცობრიობის „ნიგნთა ნიგნი“ — მოსეს ხუთნიგნული, ანუ „ძველი ალექსანდრე“ — ოკეანეა, რომლის სიღრმისეულად შესწავლა, მასში მოქცეული ნაზრების გაშიფრვა, კვლავაც დიდ დროს, ცოდნის გაღრმავებას, ენერჯის დაისაჭიროებს — ამ ნიგნში მოქცეულია კაცობრიობის ისტორიის, მისი ზნეობრივი ჩამოყალიბების მნიშვნელოვანი, საკვანძო საკითხები.

დაახლოებით ისევე, როგორც ზნეობრივი ჩამოყალიბების! დღეს ჩვენთვის არცთუ ისე რთული უნდა იყოს წარმოვიდგინოთ, განვიხილოთ თუ რომელი საფეხურზე, როგორი ზნეობრიობის მატარებელი იქნებოდა ადამიანი, მოსეს ღრუბლებში გახვეული სინაის მთიდან რწმენის ის ორი დაფა არ ჩამოეცანა, წარმართობა სინაის მთის ხევ-მღვიმეებში არ ჩაეტოვებინა და სათავე არ დაელო მოწოდების ზმისათვის.

ბოლო ორი საუკუნის მეცნიერული აღმოჩენები, ბუნებრივი კატაკლიზმების შედეგად გამოვლენილი, თუ მოპოვებული არტეფაქტები ადასტურებენ მოსეს ხუთნიგნულში ნაამბობის რეალურობას. არქეოლოგია, მეცნიერების განვითარება ნაწილ-ნაწილ გვიავაზრებს არტეფაქტებს, რომლებიც გლობალიზაციის მანკიერსა, თუ პროგრესულ ნრებრუნვაში მოქცეული ეპოქის შვილებს გვარწმუნებს: ყველაფერი ეს იყო, ყველაფერი ეს მოხდა. დღეს ალბათ, ცოტასდა თუ სჯერა იმ „მეცნიერული დასკვნებისა“, რომლის მიხედვითაც „ძველი ალექსანდრე“ ებრაელი ხალხის ფოლკლორია და არა ამ ხალხის მიერ შექმნილია კაცობრიობის ისტორიის რეალური სურათი, კაცობრიობის გზა. თუმცა, კაცობრიობის დიდ ნაწილს არც ადრე და, მითუმეტეს, არც ახლა, ეჭვი არ ეპარება „ძველი ალექსანდრე“ რეალისტურობაში, ლამის დოკუმენტურობაში. ახლახანს ელექტრომედიამ გაავრცელებული ინფორმაცია მაგიქრებინებს, რომ სიტყვა „დოკუმენტურობა“ წინ სულ ტყუილუბრალოდ დაუფსვი სიტყვა „ლამის“. აი, რას ვკითხულობთ კაიროს სიძველეთა სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში:

„წითელი ზღვის ფსკერზე აღმოჩენილია დიდი რაოდენობით ადამიანის ნაშთები და ეგვიპტური ჯარის საომარი აღჭურვილობა. აღმოჩენები თარიღდება ძვ. წ. აღ 14 საუკუნით.“

worldnewsdailyreport. co-მ პორტალის შეტყობინების თანახმად, საუბარია ნეალექსანდრე არქეოლოგიურ გამოკვლევებზე, რომელიც შესრულდა სუეცის არხის ფსკერზე, თანამედროვე დასახლება რას-ხარებიდან რამდენიმე კილომეტრის დაშორებით.

სამეცნიერო ექსპედიციას ხელმძღვანელობდა პროფესორი აბდულ-მუჰამედ გადერი და მონაწილეობდნენ კაიროს უნივერსიტეტის არქეოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტები.

არქეოლოგებმა წითელი ზღვის ფსკერის დაახლოებით 200 კვადრატული მეტრის მოედანზე აღმოაჩინეს 400 ადამიანის ჩონჩხის ნაწილები, და ასევე დიდი რაოდენობით ფარაონების ეპოქის საომარი აღჭურვილობა, რომელშიც შედიოდა ასევე საომარი

ეტლები. სამეცნიერო ექსპედიციის ხელმძღვანელები ვარაუდობენ, რომ საძიებო რაიონის გაფართოების შემთხვევაში, მათ მიეცემათ ეგვიპტელი ჯარისკაცების რამდენიმე ათასი ნაშთისა და ეგვიპტიდან გამოსვლის ეპოქის დროინდელი ებრაული იარაღების აღმოჩენის შესაძლებლობა.

ისრაელის მეცნიერების მონაცემების თანახმად, ებრაელების მასობრივი გამოსვლა, რომელიც აღწერილია ხუთნიგნულის მეორე ნიგნში „შემოთ“ („ხუმაში“), („გამოსვლა“) შედგა ძვ. წ. აღ. 1312 წლის გაზაფხულს.

„ძველ ალექსანდრე“ ცხოვრობენ, მოქმედებენ ადამიანები, რომლებიც დღესაც განსაზღვრავენ კაცთა მოდემის ზნეობრიობის კრიტერიუმებს და დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მარად იქნება პიროვნების ზნეობრიობის სახელმძღვანელო. ამ ღირებულებებზე უარის თქმა ადამიანთა ყოფას გაუსაძლისს გახდის — თაობა, რომელიც ამ ღირებულებებზე უარს იტყვის, კაცობრიობის დასასრულს დაუდებს სათავეს, უკეთეს შემთხვევაში, იმ ტომებს შორის დაიკავებს ადგილს, დღეს ადამისა და ევას სამოსში რომ ათენებენ და აღამებენ.

საზოგადოების ზნეობრიობაზე, ზნეობრივ პიროვნებათა როლსა და რაობაზე ფიქრისას განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს სამი ბიბლიური პიროვნების და უზენაესის ურთიერთობის, თანამედროვე ტერმინოლოგიას თუ მივმართავთ, ურთიერთთანამშრომლობის საკითხი. რა ტენდენციას წარმოაჩენს ეს თანამშრომლობა, როგორ ახასიათებს ამ პიროვნებებს, რა როლს ასრულებენ ეს უზენაესის მიერ გამორჩეული პიროვნებები ადამიანების ცხოვრებაში. ესენი არიან: ნოე(დედანში — ნოახი), პატრიარქი აბრაჰამი (დედანში აბრაჰამ აბინუ — მამაჩენი აბრაჰამი) და მოსე (დედანში მოსე რაბინუ — მოშე პოდგვარი, მასწავლებელი ჩვენი) ყოველი ამთავანის უწინარესი გამოსარჩევი ნიშანი გახლავთ ის, რომ უზენაესმა სცნო — უზენაესმა მათთან კომუნიკაცია იწევა. იქნებ, ასეც ითქვას უზენაესი ამ ადამიანებთან კომუნიკაციის გარეშე ვერც დაუდებდა სათავეს კაცობრიობის ზნეობრივი ჩამოყალიბების პროცესს. დაახლოებით თანაობაში მართალ კაცად მიიჩნეოდა, მაგრამ მაინც უნდა ვივარაუდოთ, რომ უზენაესმა ჩვენთვის ამოუცნობ სხვა ღირსებათა, გარემოებათა გამო გამოაჩინა ეს ადამიანები, თორემ ნოეს თაობაში ეს ერთი ნოე არ იქნებოდა მართალი კაცი. ასევე შეედგომო უზენაესს არა კონკრეტულად ამ აბრაამისათვის, სხვა პიროვნებისათვის ერჩია გადაეღაზა მდინარე და დაძრულიყო ქანაანისაკენ. უზენაესს ხომ მანამდეც — ნოემდე, აბრაამამდე, მოსემდე ჰქონდა კომუნიკაცია ადამიანებთან: ადამი(დედანში: ადამ ჰა რიმონ — პირველი ადამიანი), ევა(დედანში ხავა — სიყვარული), აბელი, კაენი, მაგრამ ამ ადამიანებთან ურთიერთობა სულ სხვა ხასიათისა იყო. მივაქციოთ ყურადღება: უზენაესი ადამთან, ევასთან, მათს შვილებთან კომუნიკაციას ექსტრემალურ, კრიტიკულ სიტუაციაში ამყარებს, მაშინ როდესაც ისინი არღვევენ უზენაესის მიერ დაწესებულ ნორმებს, არღვევენ ცხოვრების ჰარმონიას: ადამმა და ევამ შესჭამეს აკრძალული ხილი, კაენმა მოჰკლა ძმა. მანამ სანამ უზენაესი ბოროტებისკენ ადამიანის მიდრეკილებას იხილავდა და ადამიანის შექმნას ინანებდა („გამრავლდა ადამიანთა ბოროტება დედამინაზე“), მოძღვრად, შემოგონებლად გვევლინება — ცდილობს ადამიანთა ცხოვრება სწორად წარმართოს. ამოდ: ადამმა, ევამ, კაენმა არა უზენაესის, საკუთარი ინსტიქტების კარნახით იარეს.

აი, მამა აბრაჰამთან, ნოესა და მოსესთან ურთიერთობა სულ სხვა ხასიათისაა, აქ მთავარია ის, რომ იწყება უზენაესისა და ადამიანის ერთობლივი ქმედება გარდაქმნის, პროგრესისათვის. ხსენებული ბიბლიური პირების უზენაესისადმი დამოკიდებულებაც სრულიად განსხვავებულია. ცხადია, ის გარემოება, რომ ყოველი ამთავანი უზენაესთან კონტაქტით, უზენაესის გეზით მოქმედებს, ამ პიროვნებებს განსაკუთრებული შარავანდედით მოსავს და მათდამი ჩვენს მონიშნებას განაპირობებს, თორემ „ხანოხიც ვიდოდა ღმერთთან მეთუშალახის შობის შემდეგ სამასი წელი“, მაგრამ შორსა ვართ ხანოხისადმი ამგვარი მონიშნებისაგან იმიტომ რომ. . .

აი, აქ მივადევით მთავარ სათქმელს. მთავარი სათქმელი კი გახლავთ ის, ადამიანები თუ რას აკეთებენ, როგორ ირჯებიან მოძმეთათვის. და შემდეგ: როგორ გამოძახილს ტოვებს ხალხის მეხსიერებაში მისთვის თავდადებული პიროვნება.

როდესაც ნოეზე ვიტყვი, რომ მისადმი მამა აბრაამის, მითუმეტეს მოსეს ოდენი მონიშნება, პატივისცემა არ გაგვანჩნია, ამოსავალი წერტილი სწორედ მისი ბუნებაა, მისი ხასიათი — ხალხისადმი მისი დამოკიდებულება.

კაცობრიობას ზნეობრივი ადამიანები ქმნიან

მამ, ასე: ნოე, მამა აბრაამი, მოსე ღვთის მორჩილი, მისი სიტყვის გამგონე ადამიანები არიან. როგორ აისახება მათი ღვთისმშობილობა ერთის მხრივ უზენაესთან და მეორეს მხრივ ხალხთან ურთიერთობაზე? „ნოახი (არაებრაული ტრადიციით — ნოე გ. ბ.) კაცი მართალი, უზადო იყო თავის თაობებში. ღმერთთან ვიდოდა ნოე.“ (ციტატებს ვიშველიებ გამორჩეული მთარგმნელის, საზოგადო მოღვაწის შალომ დავიდის (დავითაშვილის) ხუთნიგნულის თარგმანებიდან, რომელიც 1996 წ. გამოიცა თელ-ავივში) ეს ორი წინადადება მნიშვნელოვან ინფორმაციას მოიცავს ნოეს პიროვნებაზე. მთავარი კი ის არის, რომ „ღმერთთან ვიდოდა“. ჩვენ ვნახეთ, რომ ღმერთთან ნომდელი თაობის ადამიანებიც ვიდოდნენ, ჰქონდათ მასთან კომუნიკაცია, მაგრამ არც ერთ მათგანს — არც ადამს, არც ევას, არც კაენსა და მეთუშალახს ადამიანებისათვის არა-რა სასიკეთო არ გაუკეთებიათ, ეს უძვირფასესი კომუნიკაცია ხალხის სასიკეთოდ არ გამოუყენებიათ — ვგულისხმობ მათს ინიციატივას, მათს ღვაწლს ადამიანების სასიკეთოდ საქმეში, თორემ უზენაესს ამ მხრივ თავისი გზა ჰქონდა და აქვს. მეტიც: ადამი და ევა ცთუნებას დაემორჩილნენ, იქნებ, ისიც ვთქვათ: კაცობრიობის მომავალი ცთუნების სამსხვერპლოდ გაჩაღებულ კონონში შეაგდეს და დანვეს. ჩვენ ვერაფრით ვერ ჩაგვძვებით, არ ძალგვის გავიცნობიეროთ, თუ როგორი იქნებოდა კაცობრიობის ყოფა, ადამი და ევა ცთუნებას რომ არ აჰყოლოდნენ და ამ გზით არ დაედოთ სათავე კაცობრიობისათვის. სწორედ მათი ქმედების გამო დაენათლა თაობებს: „საწუხრით ჭამდე (საზრდოს) მთელი შენი სიცოცხლე, ეკალი და ნარ-ეკალი აღმოვიცნოს და მინდვრის ბალახს ჭამდე. პიროფლიანობით ჭამდე პურს, ვიდრე მინად მიიქცევი, რამეთუ მისგან ხარ აღებული, რამეთუ მტვერი ხარ და მტვერად მიიქცევი“.

ვიმეორებ, ჩვენ უძღურნი ვართ განვჭვრიტოთ ჩვენდეთ, თუ როგორი ხასიათისა იქნებოდა ადამიანთა ცხოვრება ადამი და ევა — ეს ორი მშვენიერი ახალგაზრდა რომ ღვთის სიტყვით მავალი ყოფილიყო, ცთუნებას არ აჰყოლოდნენ, და ასე არ დანყებულყო კაცობრიობის გზა. რამეთუ უზენაესმა ის ყოფა, რაც არის და როგორიც არის, ადამისა და ევას შეცოდების გამო სასჯელის სახით მოგვივლინა, უნდა ვივარაუდოთ, რომ კაცობრიობის მომავალი უმჯობესი იქნებოდა. უზენაესს, ალბათ, ჰქონდა თავისი ხედავ კაცთა ყოფისა, რომელიც შეყვარებული („ძველ ალექსანდრე“ არაფერია შემთხვევითი და ქალის სახელიც ხავა „სიყვარული“ არ უნდა იყოს შემთხვევითი) წყვილის ქმედებამ რადიკალურად შეცვალა.

ასეთი გახლდათ, ამით შემოსიხლვრა ადამის, ევას, მის თანამედროვეთა მისია კაცთა მოდემის წინაშე.

ნოე?ნოე როგორ გაისარჯა ადამიანებისათვის? „უთხრა ღმერთმა ნოახს: ყოველი ხორციელის აღსასრულმა მოაღწია ჩემს წინაშე, რამეთუ აღივსო დედამინა მათი უსამართლობით და აჰა, მე ვსაძობ მათ დედამინითურთ. გაიკეთე შენთვის კიდობანი ფისოვანისაგან. ბუდეები გაუკეთე კიდობანს და ფისით გაფისე იგი შიგნით და გარეთ.“

ალექსანდრე დავდებ შენთან და შეხვალთ კიდობანში შენ და შენი ძენი, შენი ცოლი და შენს ძეთა ცოლები“ როგორ ირჯება ნოე, როგორ ეგებება უზენაესის განაჩენს?

ადამიანის ბედის გამგებლებთან, იქნებან ისინი ძლიერნი ამა ქვეყნისანი, თუ მათზე ძლიერნი — ხელმწიფენი, მეფენი, პრემიერნი, ყოველგვარ კომუნიკაციას, მაშინ აქვს აზრი, თუ ადამიანებს რაიმე სიკეთეს მოუტანს. წინ წასწავს. ე. ი. კომუნიკაცია გამოყენებული იქნება ადამიანის, ადამიანების სასიკეთოდ.

რალა უნდა ვთქვათ უზენაესთან კომუნიკაციაზე! ნოემ უზენაესთან ურთიერთობა არ გამოიყენა — ადამიანების კეთილდღეობისათვის არ იბრძოლა. კეთილდღეობას ვილა დაეძებს, ხმის ამოუღებლად, აუღელვებლად დაეთანხმა მას კაცთა მოდემის ძირფესვიანად ამოძირკვაში და იმით ბედნიერმა რომ თავად, მისი ოჯახის წევრები, ფლორა, ფაუნა გადარჩება, თავად იქნება კაცობრიობის ახალი გენ-

ერაცის სათავეში, კიდობანში ისე შეაბიჯა, თითქოს ყველა ამქვეყნიური ვალი მოხდოდა ჰქონდა. არადა, მოვლენათა შემდგომი განვითარება — უზენაესისა და ადამიანთა ურთიერთობა გვიდასტურებს, რომ უზენაესი ანგარიშს უწევს ადამიანთა პოზიციას. — „ძველი აღთქმა“ არა მხოლოდ იმაში გვარწმუნებს, რომ უზენაესი ყოვლისშემძლეა — მან განსახა ცა და დედამიწა, აღმოაცენა მცენარეები, შექმნა ადამიანი, იმაშიც რომ არ არის დიქტატორი, არ არის ის, რადაც მას დიდებული რუსი პოეტი იოსიფ ბროდსკი მიიჩნევს („იუდეველთა ღმერთი შურისმაძიებელი ღმერთია“) იგი ადამიანებს უსმენს, ადამიანის აზრი აინტერესებს, ანგარიშსაც უწევს. უზენაესისა და ადამიანის ეს დიალოგი იმითაც გახლავთ მნიშვნელოვანი, რომ თანამედროვეობის ჭკუის სასწავლებელი უნდა იყოს — ეს არ არის ბატონისა და მორჩილის, ან გნებავთ, ყრუთა დიალოგი.

რა შეიძლება ენოდოს ნოეს საქციელს — გულგრილობა?

საკუთარი პერსონით კმაყოფილება?

განდიდების მანია — ბედნიერია იმით, რომ უზენაესმა ასე გამოარჩია?

ან იქნებ, კიდევ სხვა რამ ითქვას?

ალბათ, ის აჯობებს, განაჩენის გამოტანას თავი ავარიდოთ. ეს არ არის ჩვენი მისია. ჩვენ მხოლოდ სურათის რესტავრაცია გვსურდა.

ცოტა ქვემოთ უზენაესისა და ბიბლიურ პროტაგონისტთა ურთიერთობა ცხადლივ დაგვანახებს, თუ რატომ ვერ იქცა იგი ზნეობრივ გმირად. რასაკვირველია, ამისთვის სრულიად არ არის საკმარისი ის, რომ კარგად გამოთვრა („შესვა ღვინო დათვრა და თავის კარავში გაშიშვლდა“). მსოფლიო ლიტერატურაში იგი მოგვევლინა იმ პიროვნებად ადამიანად, რომელმაც ღვინის მაღლი გვამცნო, მაგრამ ხალხის სიკეთისათვის ბრძოლის, თანამობის მაგალითი ვერ მოგვცა.

კაცობრიობის ახალ გენერაციას სათავე უზენაესმა დაუდო და არა ნოემ. იგი უნებლიე მოთავეა და არა სულიერი მამა, წინაპარი, როგორადაც შეიძლება ვაღიაროთ სხვა ბიბლიური პიროვნებანი.

**ვინ დგას მამრეს მუხნარში?**

ნოეს შემდეგ პირველი ადამიანი, რომელთანაც უზენაესს კომუნიკაცია აქვს, გახლავთ აბრაამი, მოგვიანებით მამა აბრაჰამად წოდებული. გახსოვთ ალბათ, ეს ის ადამიანია, რომელსაც უზენაესმა უბრძანა დაეტოვებინა მამაპაპეული კერა და დადგომოდა ქენაანისაკენ მიმავალ გზას. „მოსსეს ხუთნიგნეულში“ ეს ქვეთავი დასათაურებულია ასე: „ლუხ ლეხა“ („ნადა შენთან“) უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს სათაური გულისხმობს: იარე შენი შთამომავლობისათვის, მისი კერისათვის. ამგვარი მოსაზრების გამოთქმის საბაზს უზენაესის მიერ მოგვიანებით გამოხატული ნება გვაძლევს.

ნიგნის ამ, აბრაამის, მონაკვეთში არის ერთი გენიალური ეპიზოდი. იქნებ, ვაჭარბებდეთ, იქნებ, მავანი შემომედავოს საკითხს ემოციურად უდგებო, მაინც მტკიცედ მჯერა, რომ ამ ეპიზოდში კაცობრიობა ღებულობს პირველ და ძალიან მნიშვნელოვან გაკვეთილს იმისა, რომ პიროვნებამ ადამიანებისათვის უნდა იბრძოლოს და ამ ბრძოლაში გამოავლინოს ნებისყოფა, თანმიმდევრულობა.

თუ ნოეს ეპიზოდში დედამიწაზე უსამართლობის მომძლავრება-გაძლიერების გამო უზენაესი ამჟღავნებს სურვილს, და მერე აღასრულებს კიდევ, მოსაპოს კაცთა მოდგმა დედამიწიანად, და ნოეს მეოხებით სათავე დაუდოს ახალ თაობებს, აქ, მამრეს მუხნარში ორ პატარა, თუ დიდ, ქალაქსა თუ სოფელზეა ლაპარაკი — უზენაესი გამოსთქვამს სურვილს ორად ორი დასახლებული პუნქტის — სედომისა და ემორას განადგურების თაობაზე.

„თქვა უფალმა: გამრავლდა სედომისა და ემორას ღალადისი, მათი ცოდვანი ფრიად დამძიმდა.“

ჩავალ და ვნახავ: თუ ჩემდამი აღმომავალი ღალადისისამებრ იქცევიან, (მაშინ მოაღწია) აღსასრულმა“ ე. ი. სწორედ ისევე, როგორც ნარდნის დროს, ადამიანების ცოდვების მომძლავრების გამო, უზენაესმა განიზრახა პირისაგან მინისა აღვავოს ორი დასახლებული პუნქტი, მაგრამ არა მთელი კაცობრიობა, ისე როგორც ეს ნოეს მდუმარე თანხმობით ქმნა.

დაახ, როგორც უკვე ითქვა, უზენაესისა და მამა აბრაამის დიალოგი ამ ეპიზოდში გახლავთ დიდი გაკვეთილი საიმისოდ, თუ როგორ უნდა იბრძოლო ადამიანებისათვის, ამ ეპიზოდის უზარმაზარი მნიშვნელობა იმითაც განიზომება, რომ იგი გვაძლევს საშუალებას შევიცნოთ, სიღრმისეულად გავიგოთ, თუ როგორია თავად უზენაესი. ადამიანისა და მისი ურთიერთობა ერთობ ბუნებრივია, შეიძლება ითქვას ჩვეულებრივი, ყოფითი — უზენაესი ყოვლისშემძლე მენტორად, მზრუნველად ჰქონს არ გვევლინება, ერთობ გამგებ, მოსაუბრედ. მისი ამოცანა არა ადამიანთა

დასჯა-მოსპობაა, არამედ მორალური სისპეტაკე, იმითაც კი კმაყოფილება ცოდვაში, ბოროტებაში ფეხჩადგმულთა ხროვაში რამდენიმე მართალ ადამიანს თუ აღმოაჩენს. ამით იმასაც ესმება ხაზი, თუ რაოდენი ფასი ადევს მართალი, წმინდა კაცის არსებობას ნებისმიერ საზოგადოებაში. ცოდვილთა ვაკხანალიას რამდენიმე მართალი კაცის არსებობა გადასწონის, მოიპოვებინა კი წმინდანნი ამ ცოდვილთა ვაკხანალიაში?

ყველაფერი ეს კიდევ ერთხელ გვიდასტურებს, რომ უზენაესი ადამიანებისაკენ მიდრეკილი, მათი მფარველი უფროა, ვიდრე უმკაცრესი მენტიორი, რომლის სიტყვა, აზრი უაპელაციოდ უნდა მიიღო: „მიეახლა აბრაჰამი და უთხრა: ნუთუ, მართალ კაცს უკეთურთან ერთად დალუპავ?“.

ადამიანმა დასვა შეკითხვა. ასეთი რამ აზრადაც არ მოსვლია ნოეს. მამა აბრაამი უფრო შორს მიდის, დახვთ, რას შეჰპებდავს უზენაესს: „შენ არ გმევენის ასეთი



ოთარ ვეფხვაძე, „სოდომი და გომორა“  
ლ. წინაშევილის ნიგნიდან „ძველი აღთქმა თანამედროვე ხელოვნებაში“

საქმის ქმნა, რომ მოაკვდინო მართალი უკეთურთან ერთად.“ და ნახეთ, როგორი თეზით აძლიერებს თავის პოზიციას: „მართალი იყოს ვით უკეთური?“.

არ გმევენის, რომ მთელი ქვეყნიერების მსაჯულმა მართლმსაჯულება არ აღასრულოს!“ ძლიერ, ზნეობრივ პიროვნებად ქმნის ერთ-ერთი ნიშანი ეს გახლავთ — ზნეობრივი პიროვნება სწორედ აქ იბადება, იბადება მაშინ, როცა სხვათა გადასარჩენად იწყებს ბრძოლას.

ყოვლისშემძლე კი უნდა დასაჯოს ასეულობით, ათასობით ადამიანი, რომ მილიონებმა ზნეობრიობა შეინარჩუნონ. მაგრამ აბრაამი არ არის დარწმუნებული, რომ ცოდვაში ფეხჩადგმულ სოდომსა და ემორაში 50 მართალი კაცი მოიპოვება, ამიტომ ცდილობს თამასა დასწონოს — ხალხის გადაარჩენის მეტი შანსი ჰქონდეს და აბრაამი — „მტკერი და ნაცარი“ — კადნიერდება, მისი კადნიერება კი ასეთ შეკითხვაში გამოიხატება:

„ვინძლო ორმოცდაათ მართალს ხუთი დააკლდეს?“

შემდეგ: ათი რომ დააკლდეს ორმოცდაათს?

ოცი რომ დააკლდეს ორმოცდაათს?

ოცდაათი რომ დააკლდეს ორმოცდაათს?

ორმოცი რომ დააკლდეს ორმოცდაათს?

მამა აბრაამმა ყველაფერი იღონა ადამიანების გადასარჩენად. უზენაესი კი, როგორც ვხედავთ, შემნდობი და დამყოლია, ოღონდ ადამიანებმა თავ-თავიანთი ცხოვრების წესით — ზნეობრიობით საამისო საშუალება მისცენ.

ვმიშობ, ჩემს მიერ ნოესა და აბრაჰამის უზენაესთან მიმართების, ურთიერთობის ამგვარ ჭრილში განხილვამ არ შექმნას შთაბეჭდილება, თითქოს ვამკვიდრებდეთ თეზას: ნოე ღვთისმომბოძი, მორჩილი პიროვნებაა, აბრაამი კი — არა.

სრულიადაც არ ვფიქრობ ასე. აბრაამი იბრძვის ადამიანებისათვის. ეს უწმინდესი და უმამაცესი არსება, რომ ღვთის მომბოძი, მისი სიტყვის მიმყოლი, გამგონე კაცია, ეს ჯერ კიდევ მაშინ გამოჩნდა, როცა უზენაესის მითითებით, მამის — თერახის კერა დატოვა, მდინარე გადალახა და ქანაანისაკენ მიმავალ — უცნობ გზას დაადგა („ლუხ ლეხა“) ერთგულების, რწმენის სიმტკიცის დიდი, ჯოჯოხეთური გამოცდა კი აბრაამმა მოგვიანებით ჩააბარა უზენაესს: „აი-ყვანე, გენუკვი, შენი ძე შენი მხოლოდშობილი იცხაკი, რომელიც გიყვარს და შენთვის წადი მორიას ქვეყნად,

იქ აღავლინე აღსავლენ მსხვერპლად ერთ მთაზე, რომელსაც ვეტყვი“ და მიდის აბრაამი უზენაესის ნების აღსასრულებლად.

რამდენი წელი ელოდნენ სარა და აბრაამი იცხაკის დაბადებას. ბოლოს იგი უზენაესმა ბედნიერყო — აჩუქა შვილი და აი, ახლა ადამიანი, რომელიც ცოდვაში ფეხჩადგმული ქალაქის მცხოვრებთა გადასარჩენად უზენაესს არ შეეპუა, ეკამათა, უსიტყვოდ ასრულებს მის ნებას. აქ რატომ არ გამოიჩინა აბრაამმა ჩვენთვის უკვე ნაცნობი შეუპოვრება, რატომ არ შეეცადა გადაერჩინა შვილი?

რასაკვირველია, შორსა ვარ იმ აზრისაგან, რომ ვნედეები ამ ნიგნთა ნიგნის ყოველ ნიუანსს, მაქვს პასუხი ყველა, თუნდაც ჩემს მიერ დასმულ კითხვაზე, მაგრამ ეს კითხვა ზედაპირზეა და ბევრს გაუჩნდება: მართლაცადა, ადამიანი, რომელიც ასე იბრძოდა ცოდვის მორევში მოქცეულ სედომელთა და ემორელთა გადასარჩენად, ნოესებრ უსიტყვოდ ემორჩილება უზენაესის ნებას.

ამ ორ მოვლენას შორის დიდი „ზღვარია“: იქ ადამიანები ცოდვის, უზნეობისათვის ისჯებოდნენ და გადარჩენის შემთხვევაში ხომ შეიძლებოდა ერთი, თუ დიდი ნაწილი არა, მცირე მაინც, სწორედ იმ ოცი-ოცდაათი მართალი, ზნეობრივი ადამიანის ზეგავლენის ქვეშ მოქცეულიყო და ეცხოვრა მართლთა ცხოვრებით? ადამიანს ყოველთვის უნდა მისცე არჩევანის საშუალება.

მსხვერპლთშენიერვა კი მოგვწონს ჩვენ ეს, თუ არა, ცხოვრების დადგენილი წესია. არც აბრაამი, არც იცხაკი არ არიან გამონაკლისნი. ასეთი რამ იყო და ერთხანს კიდევ იქნება. მოგვიანებით იუდაიზმი მონახავს ალტერნატიულ გზებს.

მიზანი: ჩვენ თავიდანვე ვიცით, რომ ის, რაც მორიას მთაზე ხდება, უზენაესის მიერ აბრაამისათვის მოწყობილი გამოცდაა, მაგრამ ეს არ იცის აბრაამმა. უზენაესი გამოცდას აწყობს იმისათვის, რომ გაიგოს, რაოდენი ხარისხისაა იმ პიროვნების მისადმი ერთგულება, რომელიც დიდ ერად უნდა აქციოს, მომავალი თაობები ამ პიროვნებას მამა აბრაამად მოიხსენიებენ. ამ პიროვნების არსმა უნდა განსაზღვროს კაცობრიობის ზნეობრიობა.

სათავე კი უნდა იყოს წმინდა, უწმინდესი.

**... განერიდე შენი რისხვის აღზნებას...**

მკითხველს მიხდა ერთი დღე გავახსენო — კაცობრიობის ისტორიისათვის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დღე. ეს გახლავთ ძველი წელთაღრიცხვის 1312 წლის ზაფხული, ივნისის შუა რიცხვები (ებრ. კალენდრის 2448 წლის 6 სივანი) ეგვიპტის მონობიდან განთავისუფლებულ, სინაის მთის ძირას თავმოყრილ ხალხს შემოესმა ხმა, რომელიც აუწყებდა მე ვარ ღმერთი შენი და არ გაყავდესო სხვა ღმერთები. ებრაელები სიხარულით აღტაცებულნი ეგვიპტიდან ღვთიურ გამოცხადებას. ერთხმად აცხადებენ, რომ იქნებიან ერთი ღმერთის ერთგულნი.

ამ დღეს „ეცემა“ წარმართობა, ამ დღიდან იწყება მონოთეიზმის ხანა.

კაცობრიობა იწყებს სვლას პროგრესისაკენ. მაგრამ...

ის, რასაც საუკუნეები მსახურებდნენ, ის, რაც საუკუნეები იყო მათი სალოცავი, მოჩვენებითად გაქრა. მას დეკლარირებულად ვერ აღმოვხვრი სულიდან. რასაკვირველია, სინაის მთის ძირას კერპთაყვანისმცემლობის რესტავრაციის მიზეზი ეს არის, თუმცა, მკითხველს ზოგიერთი თეოლოგი კომენტატორის მოსაზრებაც უნდა გაეცინო: მოსე რომ უდაბნოში მოქცეულ ებრაელთა ბანაკს გაეცალა და სინაის მთის მწვერვალისაკენ აიღო გეზი, ებრაელთა ბანაკში სახეცვლილი ეშმა გამოჩნდა — იგი ხალხს ჩააგონებდარომ კერპი უნდა შეექმნათ, კერპმა გამოიყვანა ისინი ეგვიპტიდან და არა მოსემ, კერპი გაუძღვებოდა მათ ქენაანისაკენ.

და შეიქმნა ოქროს ხბო. ნივთიერი გამოხატულება მონოთეიზმისა და წარმართობის ბრძოლისა. რასაკვირველია, ეს ბრძოლა მაშინ არ დამთავრებულა, როცა მოსემ ოქროს ხბო დაამსხვრია და ცეცხლში დანვა. ახლა კი გავიხსენოთ „გამოსვლათა“ს 32-ე თავის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ეპიზოდი: „ელაპარაკა უფალი მოსეს: ჩადი, (ბანაკში. გ. ბ.) რამეთუ ნახდა შენი ხალხი, რომელიც ეგვიპტის ქვეყნიდან გამოიყვანე.“

მალე გადაუხვიეს გზიდან, რომელიც მათ ვამცნე. გააკეთეს თავიანთთვის ჩამოსხმული ხბო, თაყვანს სცემენ მას და მსხვერპლს სწირავენ. ამბობენ: ესაა ისრაელი, შენი ღმერთი, რომელმაც ეგვიპტის ქვეყნიდან ამოიყვანა.

... და ან დამეხსენ, რათა აღინთოს ჩემი რისხვა მათზე (დასასრული მე-7 გვერდზე)



# ებრაული მისტიციზმის საფუძვლები და ლიალელი უნაურ ზალმანის თეოსოფია

ივსაკ ღავიდი

(ბაბრქელება. დასაწყისი იხ „მ“ №6, 7, 8, 9, 10, 11-12, 2013; №10, 12, 2014)

ჩვენი აზრით, ზოპარის შინაარსობრივ ჩამოყალიბებაზე გავლენა უნდა მოეხდინა საკუთრივ მცირე-აზიურ-კავკასიურ პრაქტიკულ მისტიკურ მიმართულებებზე, რომლებიც გარკვეულ ნათესაობას ავლენენ ძველინდურ პანთეისტურ მოძღვრებებთან, კერძოდ უპანაშიდებთან, ასევე ვეიასა-ს უტტარა-მიმანსასთან, სადაც მთელი მრავალფეროვნება სამყაროსი — სახელები, ფორმები (ე.წ. ჰამა-რუჰამ) ერთიანი აბსოლუტური არს-საწყისიდან წარმოიქმნენ.

კატეგორიების თვალსაზრისით, საინტერესოა ისეთი თეოლოგიურ-მისტიკური ანალოგიები ბუდისტურ-ნირვანული სისტემებიდან, როგორცაა: რწმენა, სიმამაცე და გულისხმიერება (ებრაული ჰიტაქუნუთ) და სიბრძნე. ამასთან ებრაული „რაობა არარაობიდან“ (იემ მუაინ)ის ცნებას ეპარალელუბა სიცარიელის (შუნიატა) ცნებას იაპონურ ზენ-ბუდიზმში, რომელიც მართალია ყველაფერია, მაგრამ საკუთრივ სიცარიელეა, არარაობა.

შინტიზმშიც ვხვდებით პანთეისტურ პრინციპებს, ამ შემთხვევაში, 800 მილიარდი ღვთაება სჭოლავს სიცოცხლის ყველა ასპექტს, კოსმოსს, ადამიანს, მის ქმედებებს.

როგორც კაბალაში, ასევე შინტოს მიხედვითაც კამი-ს ღვთაებრივ საწყისში ორი ასპექტია (არამიტამა — უხეში, ცუდი, ებრ. სიტრა ახრა) და ნიგიმატამა (კეთილი, ფაქიზი — ებრ. სიტრა ტავა), ტამა — საზოგადოდ ცხოველურობის წყაროა და ვლინდება განწმენდის პროცესში.

შინტო-ბუდისტური ეკლესიების წარმოდგენებიც აღიარებენ ემანაციას, როცა, როგორც სულიერი, ასევე გაუსულიერებელი არსებანი, ბუდას არსობრიობის სხეულის ნაწილები არიან და უნივერსალური ცხოველურების აბსოლუტისაკენ მიმავალ ბილიკზე მიდრეკილი.

სწორედ აღმოსავლურ მართლმადიდებლურ მიმდინარეობაში იჩინა თავი, ანტიკურმა ნეოპლატონისტურმა ნაკადმა, იმ სახით, რომ რელიგიური განცდა, ექსტაზი და მისტიკა მჭიდროდ დაუკავშირდნენ ძველ მითოლოგიურ-ინტუიტიურ საფუძვლებს, განსხვავებით დასავლეთური კათოლიციზმისა და რეფორმატული პროტესტანტიზმისაგან.

საკუთრივ არეოპაგიტული მოძღვრება-ტრაქტატებიც კი (პირობითად 5-6 სს) მაგალითად „ღვთაებრივი სახელების შესახებ“, „ზეციური იერარქიის შესახებ“, „საიდუმლოებრივი ღვთისმეტყველება“ და სხვ. ლაპარაკობენ ღვთაებრივი არსის შეუწვდომლობასა და გამოუთქმელობაზე, მატერიაში მის გადმო-

ფრქვევა-გამოვლენაზე ნათიერი ემანაციების გზით, ღვთაების გარშემორტყმაზე შუქმატარებლობის მიხედვით, კლებად სამი დონის ანგელოსებით, სანამ ღვთაებრივი მთლიანად არ ჩაიძირება მატერიის არარაობასა და სიცარიელეში.

ებრაული მისტიკური ფენომენის ანალოგიურია აგრეთვე არეოპაგიტა შეხედულება ღვთაებისაკენ აღზევებისაკენ აღზევებისა ზესაზრისოვანი ექსტაზის გზით დი-ალექტური მარცვალ ღმერთის მყოვრობის შესახებ, მისსავ არმყოვრობაში და მოძღვრება ყოფიერების სხვადასხვა საფეხურების შესახებ მათი სრულყოფილების მიხედვით, საცნაურს ქმნიან ზალმან ლიალელის ნაწერების ორიგინალობასაც კაბალისტურ ლიტერატურაში.

აი, შევადაროთ ძველი მიდიურ-ირანულ-აზერბაიჯანული დუალიზმი — სიკეთე/ბოროტება (სპანტა-მანიუ/ანჰრა-მანიუ) გადმოცემული ავესტაში და მითრასტურ-ზერვანისტურ მსოფლმხედველობაში ებრაულ-კაბალისტურ დუალურ დაპირისპირებებს: დაბლითა/მადლითა, დადებითი/უარყოფითი და ა.შ.

ანალოგიური გაგება დაბლითა სიბრძნისა და უზენაესი სიბრძნისა გვაქვს ძველინდურ ფილოსოფიაშიც (ვიდია (უზენაესი) — ავიდია (დაბლითა)).

ცნობილმა ტაბარისტანელმა ებრაელმა ფილოსოფოსმა დავიდ ალ-მოკამეცმა (მე-9-10-სს) შესაძლოა პირველმა ჩამოაყალიბა თავისი ძირითადი თეზისები ღმერთის ერთიანობისა და ერთადერთობის შესახებ არისტოტელიზმის საფუძველზე. იგი შეეხო ისეთ საკითხებს, როგორცაა მეცნიერების არსებობა, სამყაროს შექმნის სუბსტანცია-აქციდენტები, ატრიბუტები, პესიმიზმი-ოპტიმიზმი, ჭეშმარიტი წინასწარმეტყველების არსი, ვედრებანი, აკრძალვანი და ა.შ.

პორფირიუსი (232-301) რამდენადმე საკუთარ მოძღვარ-წინამორბედებსაც გასცდა, როცა ჩამოაყალიბა გონებაშეწვდომისაკენ აღზევების ამოსავალი პუნქტები, უარყო ქრისტიანულ-თეოლოგიური დოგმები და თვითგანწმენდის კათარისტული პრინციპი იქადაგა.

მან ყველა სახის რელიგიური რიტუალობა დაუქვემდებარა სუფთა გონებამჭვრეტელობასა და სულიერ აღსვლადობას.

ჩვენ მიგვაჩნია, რომ ტრადიციული კაბალა, ანუ მოძღვრება ფსიქოლოგიურ რეფლექსიაზე წარმოიშვა ისტორიულ ახლოაღმოსავლეთში, კერძოდ კი მცირე-აზია-ირან-კავკასიის არეალში და შემდეგ დაიწყო შერწყმა გავრცელება ევროპულ კაბალისტურ მოძღვრებებთან.

კაბალის საფუძველს ხომ ბიბლიური მასაე ბერეშთი (პირველქმნადობა, შეადგენს, თალმუდის (ციმცუმის მოძღვრება) გამოვლით აღწევს

თანაელთა შეხედულებებს სამყაროს გაჩენის შესახებ ათი სეფირიდან (ლოგოსი).

ძირითად ნაწარმოებებს კაბალაში სეფერ იეცირა (მე-13 ს) წარმოადგენს, რომელიც გზაჯვარედინია წინა და მომდევნო მისტიკურ-ებრაულ სისტემებს შორის.

კაბალაში ღმერთი განუსაზღვრელი შეუწვდომი სუბსტანციაა, უატრიბუტო, უსასრულო, რომელიც სეფიროთ-ის ანუ არხების (ცინორთ) შუამავლობით უკავშირდება სამყაროს. სიმპტომატურია ბარსელონელ კაბალისტთა როლი ხსენებულ შეხედულებათა ჩამოყალიბებაში, დაწყებული მე-11 ს-დან რამბა'ნი, ა, აბულაფია, ი. ალბარჯელონი და სხვ. 1989 წელს ბარსელონაში საკვლევი მუშაობების ჩატარებისას, თავისებურად იქნა გაცდილი ის დამუხტული სინამდვილე, რომელიც ისტორიულად თან ახლდა კაბალისტ მოძღვრებათა შექმნას.

სწორედ კაბალამ გამოაცხადა საიდუმლოება ლოცვისა (სოდ ჰათეფილა) ადამიანის ღმერთთან აღსვლისა და შერწყმის წყაროდ. შუასაუკუნეების კაბალისტთა პლეადას შეადგენდნენ თოდროს აბულაფია სეგოვიდან, იცხაკ ბ. დაუდი, აზრიელ ბ. მენახემ, იბნ ლატიფი, მ. კორდოვერო, იცხაკ აქოელი, იეჰუდა ჰახსანი, იაკოვ ჰანაზირი, ლიეზერ ვორმსელი, ნეხუნია ჰა-კანა, აშერ ბ. დავიდი, ხამაი-გაონი, დავიდ ჰაქოჰნი, შემტოვ იბნ გაონი, იცხაკ იბნ ლატიფი და სხვ.

მე-11 ს-ში ბაჰია ბ. იოსეფ იბნ ფაკუდა-მ სცადა ადამიანისეული სრულქმნადობა-განწმენდის პროცესის განჭვრეტა-ჩამოყალიბება თავის ნაწარმოებში „ხოვოთ ჰალევაოთ“ (ვალდებულუბანი გულისა), რომელშიც წარმოდგენილია „თვითანგარიშგების ათი საფეხური, ანუ ეტაპი, მათ გავლითა და სულიერ-სხეულებრივი თანხვედრითი დაწმენდით ადამიანი ღვთაებას უახლოვდება. ერთი სიტყვით, ძირითადი მიზანია ადამიანის გამოშორება საკუთარ „მე“-ს და მისი შემზადება ღმერთთან შესავედრად.

პირველად ცხება კაბალა, საკუთრივ მისტიკური შინაარსით იხმარა ცნობილმა ესპანელმა ჰალახისტმა იეჰუდა ბენ ბარზილაი ალ-ბარჯელონიმ (ბარსელონელმა) მე-11 ს-ის მეორე ნახევარში, მანამდე კი სიტყვა კაბალა იხმარებოდა მხოლოდ ტრადიციის გაგებით, 1130-1140 წლებში იგი სეფერ იეცირა-ს კომენტარებზე მუშაობდა, სადაც განავითარა მასაე მერქავა-ს თეოსოფიური მსოფლმხედველობა.

ალბარჯელონიმ განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა ციურ მნათობელზე, რომელიც მისტიკურად უკავშირდება ქვემოთ მინიერ იერუსალიმურ მნათობელს, უკვე იავარქმნილს. ავტორს მიაჩნია, რომ დარღვეულ იქნა სამყაროსეული ჰარმონია ისრაელის წარტყვევი-

თა და იერუსალიმის მოხრებით, რომელსაც ექსატოლოგიური აღდგენა უწერია, ვითარცაა გადმოცემული ეროტულ-ალეგორიულად შელომოსეულ ქებათა ქება-ში (5.2). ალბარჯელონი დარწმუნებული იყო, რომ მას მიენიჭა თვით „წმ. სულიდან წარმომავალი სიბრძნე“.

ისლამისეული ყურანის თეოსოფიური საფუძვლები ებრაულ ექსატოლოგიურ თეზისებს ემყარება. უკანასკნელი დღის საკითხი (ებრ. ახარით ჰაიამიმ) სრული თანმიმდევრობითაა გატარებული ყურანისეულ სურეში.

გარდა ზემოთქმულისა, ყურანისეული თვალსაზრისიც ზოგადად მესიანისტურია, იგი არა მარტო სცნობს და იმონებს ებრაულ-ბიბლიურ წინასწარმეტყველებს, მათ შორის კი განსაკუთრებული რიდითაა დოკრძალვებით, მოშესუელ თორასა და კოდექსს, დავიდისეულ ფსალმუნთ და სხვ. (იხ. 4:161,169 5:45,48), არამედ უფრო მეტიც, ყურანი ჰკიცხავს იმ ისრაელებს, რომლებმაც არ იწამეს მოძღვრება დავიდისა და მის შთამომავალ ძეთა, (5:82).

ისლამურ-ქრისტიანული მესიანიზმი სწორედ დავიდისეულ მოძღვრებასა და მრწამსს დაემყარა, 34-ე სურაში უშუალოდაა ნათქვამი: „დავიდს ჩვენ უპირატესობა მივანიჭეთ...“ (10) ოდნავ ქვემოთ „მოიქმედეთ, შთამომავალნი დავიდისა, მადლიერება!“

საყურადღებოა ისიც, რომ შემდგომში ნეოთომისტურმა დოქტრინამაც აღიარა ფაქტი, რომ ადამიანი ყველაზე ღრმასა და საიდუმლო ჭეშმარიტებებს შეიცნობს, არა ალქმის ორგანული გრძნობებითა და არასრულყოფილი ადამიანური გონებით, არამედ ღვთაებრივი გამოცხადებით.

სულის მეტაფიზიკური არსებობის საკითხს ხეხობდა არაბი-ესპანელი რაციონალისტი, რამბა'მის თანამედროვე იბნ-როშდიც (მე-12 ს.), მისი აზრით, სიკვდილის შემდეგაც განაგრძობს სული არსებობას, არა როგორც სუბსტანცია, არამედ ერთ-ერთი მომენტის საერთო-საყოველთაო გონებისა.

რაბი იეჰუდა ჰალევი სულ სხვა ეთიკურ საფუძვლებზე ამყარებს ფილოსოფიისა და რელიგიურ ურთიერთკავშირს, მისთვის ამოსავალი წერტილია ის, რომ ადამიანის სულში მრავალი ძალა არსებობს, რომლებიც ჯერ არ არიან შეცნობილნი და ახსნილნი ფილოსოფიითა და მეცნიერებით, ესაა შინაგანი ხმა (კოლ ჰანივრა).

იგი მხედველობაში იღებდა ებრაელ წინასწარმეტყველთა ამხედრებას იუდაისტურ-რიტუალურ-კანონიკური ცრუ-მოკრძალვებულობის წინააღმდეგ, როცა რიტუალური კანონი სრულდებოდა გულის სისუფთავის და ქავანის გარეშე.

(გაგრძელება იქნება)

რას ვპიტიხ ულობთ ამ კვირაში? რაბინის კუთხე



აარონ მდინარაძე

ვ  
ა  
ნ  
ბ  
ა  
შ

ნურ თასში, რომ მათ გაყიდეს თავისი ძმა და რატომ მაშინ ის არ იყო ასე თავგანწირული ძმისთვის, ამის შემდეგ იეჭუდა ეუბნება ძმებს – მთელ ეგვიპტეში 12 დიდი ბაზარია – თქვენ აიღეთ თქვენ თავზე თითო, მე კი გავუმკლავდები სამს და გავანადგურებთ მთელ ეგვიპტეს.

ასეთი თავგანწირვის შემდეგ, იოსეფი ხვდება რომ ძმებმა მოინანიეს თავიანთი საქციელი, და უბრძანებს ეგვიპტელებს დატოვონ მარტო თავის ძმებთან ერთად და ეუბნება ძმებს, თქვენ მითხარით რომ ბინიამინის ძმა გარდაიცვალა, მე ეხლა თქვენ მას დაგანახებთ და იწყებს ყვირილს – იოსეფ შემოდი! ძმები იყურებიან ყველა მხარეს და არავინ ჩანს, მაშინ იოსეფი ეუბნება – რას იყურებით აქეთ იქით – მე ვარ იოსეფი – თქვენი ძმა.

და შერცხვით ძმებს და ვერაფერი ვერ უპასუხეს – და წერს ამაზე რაბი იოხანანი: თუ ძმებმა ვერ უპასუხეს იოსეფს, ჩვენ რა პასუხს გავცემთ ჰამემს, როდესაც მოვხვდებით მის სასამართლოზე და ის ჩამოგვითვლის ყველა ჩვენ ცოდვებს!

და ეუბნება მათ იოსეფი – მოდი თახლოს, თქვენ კი არ გამყიდეთ, ჰამემმა გამომგზავნა მე ეგვიპტეში, აქედან ვსწავლობთ რომ უნდა ვიყოთ შემწყალე და მპატიებელი.

და ილაპარაკეს ძმებმა: მათ სთხოვეს იოსეფს, რომ არ მოეყოლა მამასთვის ეს ისტორია, და არ იცოდა ეს მამამ გარდაცვალებამდე, აქაც ვხედავთ ძმები რომ არ შერცხვნენ იოსეფი ივინყებს ყველაფერს და უდგას მათ გვერდში.

და ეუბნება იოსეფი ძმებს არ იჩხუბოთ გზაში – არ აქვს მნიშვნელობა რა იყო, არ აქვს მნიშვნელობა ვინ მეტად დამანაშავეა და ვინ – ნაკლებად, რაც იყო-იყო, ახლა დავინწყით ყველაფერი ახლიდან და არ დაინწყით ძველის გარჩევა.

და გაჩერდა მისი გული – როდესაც ძმებმა შეატყობინენ იაყაკოვს, რომ იოსეფი ცოცხალია და ის არის ეგვიპტის ფაქტიური მეფე, იაყაკოვი სიხარულისგან იყო განცვიფრებული და დიდი სიხარულისგან მას კინაღამ გული წაუვიდა. ის ვერ იჯერებდა ამ ისტორიას და ძმებმა გადასცეს კიდევ ერთი მტკიცებულება – რომ იოსეფმა გამოსცა მამას ის წესი, რომელიც მათ ბოლოს ისწავლეს 22 წლის წინ – რომ ვალდებულია მასპინძელმა გააცილოს სტუმარი.

ამის შემდეგ იაყაკოვი გადაწყვეტს გაემგზავროს ეგვიპტეში. ის წინ უშვებს იეჭუდას და როგორც წერს თავის კომენტარში რაში, იმისთვის, რომ მან გახსნას იქ თორის სწავლის ადგილები, იმიტომ თუ ებრაელები არ სწავლობენ თორას იმ ადგილზე ცხოვრება მათთვის არ შეიძლება, რადგან ეს იწვევს პრობლემებს.

თორის თავი „ვაიგაში“ იწყება სიტყვებით და მივიდა მასთან (იოსეფთან) იეჭუდა და მიმართა მას კეთილი სიტყვებით, როდესაც დაინახა იეჭუდამ რომ იოსეფი გაბრაზდა, მიუხედავად ამისა, ელაპარაკა მას მოკრძალებით, როგორც ნათქვამია შელომო მელეხის მიერ „მიმლეიში“ 15:1 – „მოკრძალებული პასუხი აგვაცილებს სიბრაზეს, ხოლო მკვეთრი სიტყვა – გამოიწვევს აღშფოთებას“. აქედან კიდევ ერთხელ ვსწავლობთ, რომ არ შეიძლება გაბრაზება და ყოველთვის საურველია დინჯი, დაფიქრებული ლაპარაკი და ყველაფრის გარკვევა, რომ არავის ტყუილუბრალოდ არ ვაწყენინოთ.

იეჭუდას პასუხში არის ერთი საინტერესო ფრაზა – „ბი ადონი“ – ეს ნიშნავს – ჩემში არის ბატონი ჩემი, კომენტარებიდან კი ჩვენ ვსწავლობთ, რომ ის ეუბნება იოსეფს – ჩემს თავში აღმოაჩენ ყველაფერს – კეთილ ლაპარაკსაც, სასამართლოსაც და ომისთვის მზადებასაც და აგრეთვე იმასაც, რომ იყავი ჩემი ბატონი და ამიყვანე მე ტყვეობაში ბინიამინის მაგივრად, იმიტომ რომ მე დავდექი თავდები მამასთან რომ ბინიამინს არაფერი დაუშავდება და ის მშვიდობით დაბრუნდება სახლში – აქედან კიდევ ერთხელ ვხედავთ, რამდენად მნიშვნელოვანია თორის სწავლა ორიგინალში და კომენტარების თანხლებით.

იოსეფი პასუხობს, რომ ის ხედავს თავის ჯადოს-

(დასასრული. დასაწყისი მე-4 გვერდზე)

და მოვსპო ისინი შენ კი დიდ ერად გაგხდი“ მოცემულობა ასეთია: ებრაელობამ, რომელსაც უზენაესი „მძიმე“ ხალხს („ამ კაშე ყორეფ“) უწოდებს, ცთუნებას ვერ სძლია, დაარღვია მიცემული პირობა – შეიქმნა კერპი. უზენაესი განრისხებულია და გადაწყვიტა მოსპოს მთელი ერი. მოსე? ებრაელთა ამ წინამძღოლის ბედიც გარკვეულია: იგი ხელუხლებელია, უფრო მეტიც – მისით წარმოიშობა ებრაელთა ახალი თაობები. ე. ი. ლიდერი არა მხოლოდ სულიერ ლიდერად რჩება, ერის მამამთავრადაც. აი, ასეთ დიდებულ პერსექტივას უსახავს ეს „შურისმაძიებელი“ ღმერთი ადამიანი.

არაფერი გასაკვირი არ უნდა იყოს იმაში, რომ ძველი აღთქმის ეს ეპიზოდი ძალიან მომწონს ისევე როგორც მამრეს მუხნარში გამართული დიალოგი უზენაესსა და ადამიანს – მამა აბრაამს შორის. ამ დიალოგს წარმართავს ერთი მხრივ უზენაესი და მეორის მხრივ ადამიანთა ქომაგი მოსე. საით წავა მოსე – რა გზას აირჩევს – ივლის ნოეს გზით ე. ი. დაეთანხმება თავისი ხალხის გაჟღეჭვა, – ალგვას პირისაგან მიწისა, თუ მასთან შეუპოვარ კამათში გადაარჩენს ცოდვის მორევე მიქცეულ, კერპთაყვანისმცემლობისაკენ პირქმნილ ებრაელობას?

და მოსე – ეგვიპტელთა მონობიდან ებრაელობის გამომხსნელი ლიდერი, ამ ეპიზოდში იმკვიდრებს (იგივე მეორდება მოგვიანებით – ქანაან-იდან მზვერვთა დაბრუნების შემდეგ) თავს არა მხოლოდ ებრაელი ხალხის, კაცობრიობის იმ ნაწილის ისტორიაში, რომელმაც მონოთეიზმის გზა ირჩია.


აქ საყურადღებოა ერთი მნიშვნელოვანი გარემოება: თუ უზენაესმა წინა პასაჟში ებრაელობა მოიხსენია, როგორც მოსეს ხალხი („შენი ხალხი“) აქ მოსემ უზენაესს შეახსენა, რომ ებრაელობა მისი რჩეული ხალხია: „რად უნდა აღივსო, უფალო, რისხვით შენი ხალხის მიმართ“.

მოსე არ მიდის ნოეს გზით – არ კმაყოფილდება

იმით, რომ თავად დაუდებს სათავეს ებრაელი ხალხის ახალ გენერაციას, ცდილობს ახალი და ახალი არგუმენტები მოიშველიოს ერის გადასარჩენად: „რა უნდა თქვან ეგვიპტელებმა, ამ თქმით: ბოროტი ზრახვით გაიყვანაო ისინი რომ მთებში ამოეჟლიტა და პირისაგან მიწისა აღეგვო. განერიდე შენი რისხვის აღგზნებას და შეინანე ამ ხალხის შავსვიანობა“

აი, პიროვნების როლი ხალხის ისტორიაში. მაგრამ ისმის საკითხი: თუ უზენაესს გადაწყვეტილი ჰქონდა ერის მოსპობა, ნუთუ, ერთი ადამიანის შეგონებამ, კამათმა, შეუპოვრობამ გადააფიქრებინა განზრახვა? ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, იქნებ, აქ საქმე გვაქვს ადამიანის რაობის წარმოჩენის ფარულ მიზანთან – ადამიანი არ ეთანხმება უზენაესს, ეკამათება მას და მიზანსაც აღწევს ე. ი. ადამიანი ერთობ მნიშვნელოვანი ფიგურაა, ადამიანს ყველაფერი ხელნიფება და მის მოსაზრებას, მისწრაფებას უზენაესიც კი უწევს ანგარიშს. ეს ეპიზოდები იქნებ, იმაზეც მიგვანიშნებს, რომ უზენაესმა ადამიანი შექმნა არა მხოლოდ თავის სახედად, არამედ მეორე მედ, იქნებ, აქ ის თეზა მოქცეული, რომ სამყაროს შემქმნელმა სამყაროს გარდაქმნა-დახვეწა თავი მეორე მეს უწილადა? (მამა აბრაამთან მამრეს მუხნარში, მოსესთან სინაის მთაზე) ძველი აღთქმა ადამიანის ყოვლისშემძლეობას ხომ არ მიგვანიშნებს, რეალური ხომ არ ხდება, ხომ არ დასტურდება თეზა იმის თაობაზე, რომ სამყარო უზენაესისა და ადამიანის ერთობლიობაა. აქ საყურადღებო უნდა იყოს ერთი გარემოება – თანამედროვეობის ერთ-ერთი გამოჩენილი თეოლოგი ადინ შტაინზალცი მიიჩნევს: ადამიანის უმთავრესი მისია დედამიწაზე გახლავთ სამყაროს გარდაქმნა – მან უნდა გააუმჯობესოს გარემო, რომელიც დახვდა. აბრაამი, მოსე სწორედ ამ გზით მიდიან. ხალხისათვის, ადამიანებისათვის ბრძოლა არის მათი ცხოვრების მიზანი და მამოძრავებელი იმიტომ იქცნენ კაცობრიობისათვის დაუვიწყარ პიროვნებებად.

რევაზ მიშველადის წიგნი ისრაელში გამოიცა



ისრაელში გამოიცა გამოჩენილი ქართველი მწერლის რევაზ მიშველადის ნოველების წიგნი „იერუსალიმი-თბილისი“. ქართველი მწერლის ნოველები ებრაულ ენაზე თარგმნეს იაკობ პაპიაშვილმა და იგორ შალმანმა.

წიგნი შესულია რევაზ მიშველადის ოთხი ნოველი. წიგნს წინ უძღვის იაკობ პაპიაშვილის შესავალი წერილი, რომელშიც ავტორი მიმოიხილავს საქართველოსა და ისრაელის ისტორიულ ურთიერთობას, ვრცლად ჩერდება რევაზ მიშველადის შემოქმედებაზე. ავტორი წერს: „რ. მიშველადის მწერლური ოსტატობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს თავისებურებას მკვეთრი სახასიათო ნიშან-თვისებებით აღბეჭდილი პიროვნული ტიპაჟის შექმნა წარმოადგენს. მის მიერ მაღალი სიტყვიერი ხელოვნებით გამოძერწილი ამგვარი ადამიანური სახეები წარუშლელი შთამბეჭდაობით ცოცხლდებიან მკითხველის წარმოსახვაში“ (გვ. 307).

რევაზ მიშველადის მოთხრობები მრავალ ენაზეა თარგმნილი. ამჯერად კი, სასიამოვნოა, რომ ქართველი პროზაიკოსის მოთხრობების წიგნი ებრაულ ენაზეც აუღერდა.

გურამ ბათიაშვილი

ОДИН-ЕДИНСТВЕННЫЙ



«Культурная революция», 2014

მოსკოვში გამოვიდა

მოსკოვში რუსულ ენაზე გამოიცა გურამ ბათიაშვილის ახალი რომანი „ერთი, მხოლოდ ერთი!“ რომანი გამოსცა გამომცემლობა „კულტურნაია რევოლუცია“.

გურამ ბათიაშვილის ამ რომანში მოქმედება დროის ორ განზომილებაში მიმდინარეობს: ეს არის უხსოვარი დრო, როცა ებრაელები მოვიდნენ საქართველოში, დაიწყეს მეგობრული თანაცხოვრება ქართველების მეზობლად, პარალელურად ნაჩვენებია მეოცე საუკუნის ქართველი ებრაელობის ყოფა—მათი ბრძოლა ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებისათვის, ასახულია 18 ქართველი ებრაელის ოჯახის მიერ გაეროში გაგზავნილი წერილის ავტორთა ცხოვრების პერიპეტიები.

„ერთი, მხოლოდ ერთი!“ ქართულ ენაზე შარშან გამოიცა და შესულია მწერლის ოთხტომეულში.

მოსკოვური გამოცემა დააკაბადონა ნატალია კრილოვამ, გარეკანის დიზაინი ეკუთვნის ზურაბ ბაზელს.



ისრაელის ამაზიბი ისრაელის ამაზიბი ისრაელის ამაზიბი ისრაელის ამაზიბი

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები

ბოლო ხანს ისრაელში განსაკუთრებული სიტუაცია შეიქმნა სამთავრობო კოალიციაში — ბინიამინ ნეთანიაჰუ ერთობ კრიტიკულად აფასებდა იუსტიციის მინისტრის ციპი ლივნის და ფინანსთა მინისტრის იაირ ლაპიდის მოღვაწეობას.

აქედან გამომდინარე, 8 დეკემბერს ისრაელის ქნესეთმა კენჭი უყარა მე-19-ე მოწვევის პარლამენტის დაშლას.

ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები 2015 წლის 17 მარტს გაიმართება

სირიაში დაბომბვის შემდეგ

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ბინიამინ ნეთანიაჰუმ განაცხადა, რომ უშიშროების საკითხებში ისრაელს აქვს წითელი ხაზი და ამ ხაზის გადაკვეთის უფლებას არავის მისცემს.

ისრაელის პრემიერ-მინისტრმა ასეთი განცხადება გააკეთა მას შემდეგ, რაც ჰკითხეს: აღელვებს თუ არა რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ერთობ ცხარე განცხადება იმის გამო, რომ 7 დეკემბერს დაიბომბა დამასკოს ახლოს მდებარე სამხედრო ობიექტები.

ერთ-ერთმა ჟურნალისტმა ნეთანიაჰუს სთხოვა, ხომ არ განმარტავდა თუ რას ნიშნავს მისი ნათქვამი. ნეთანიაჰუმ დასძინა „მე ვთქვი, რისი თქმაც მენდა, დასამატებელი არაფერი მაქვს“

ანალოგიური განცხადება გააკეთა ისრაელის თავდაცვის მინისტრმა მოშე აიალონმა:

— იმან, ვინც ჩვენს მტერს შეაიარაღებს, უნდა იცოდეს, რომ ჩვენ ყოველთვის, ყველგან მივწვდებით და ხელს შევუშლით მტრის შეიარაღე-

ბას, სადაც არ უნდა ხდებოდეს ეს. ამ საკითხში ჩვენ ვერა-რა კომპრომისზე ვერ წავალთ, არავის არ მივცემთ უფლებას გადალახოს წითელი ხაზი და საფრთხის ქვეშ დააყენოს ჩვენი უსაფრთხოება.

ამასთან დაკავშირებით, ისრაელის პრესის ვეტერანი ივალ ლავივი აცხადებს რომ დამასკოს ახლოს სამხედრო ობიექტების დაბომბვა მაღლა სწევს ბინიამინ ნეთანიაჰუს რეიტინგს, რაც ასე მნიშვნელოვანია არჩევნების წინ, მაგრამ სერიოზული ზიანი მიაყენა ისრაელის და მისი მოქალაქეების უშიშროებას.

კომენტატორები იმასაც აღნიშნავენ რომ რუსეთის მიერ „ჰიზბალასათვის“ რაკეტების მიწოდება განაპირობა ერთმა გარემოებამ: ნეთანიაჰუმ არ შეასრულა პუტინისათვის მიცემული სიტყვა: როცა ნეთანიაჰუ მოითხოვდა რუსეთს შეიარაღება არ მიეწოდებინა „ჰიზბალასათვის“, პუტინმა მოითხოვა ორი რამ: ისრაელს გაზის საძიებო მოპოვების ადგილებზე, მის დასამუშავებლად დაეშვა რუსეთის კომპანიები და მეორე: არ ჩარეულიყო სირიაში მიმდინარე სამოქალაქო ომში. ნეთანიაჰუმ მეორე პირობა შეასრულა, პირველი კი არა.

ივალ ლავივი მიიჩნევს, რომ ეს დაბომბვა ისრაელ-რუსეთის ურთიერთობას ავნებს და ახლა რუსული იარაღი ლიბანისაკენ დაიძვრება, რუსულიც-300 წინააღმდეგ კი ისრაელს არაფერი აქვსო.

ყველაზე მეტად შეიარაღებული...

კონვენსიის ბონის საერთაშორისო ცენტრმა გამოაქვეყნა 2014 წლის მილიტარიზაციის გლობალური ინდექსი. ისევე როგორც წინა წლებში, მსოფლიოში ყველაზე მეტად შეიარაღებული სახელმწიფო ამჯერადაც ისრაელი აღმოჩნდა.

ინდექსი გამოხატავს საზოგადოებრივ-სახელმწიფოებრივ მოწყობაში თუ რა ხვედრითი წონა უჭირავს სამხედრო კონტიგენტს, განიხილავს ისეთ მაჩვენებელს როგორცაა სამხედრო ხარჯები, ადარებს ჯანმრთელობის დაცვისა და შეიარაღებისათვის განუქვლ ხარჯებს და ა.შ.

ინდექსის მიხედვით მსოფლიოში შეიარაღების თვალსაზრისით მეორე ადგილზეა სომხეთი, მესამეზე — აზერბეიჯანი. ათეულში შევიდნენ: სირია, რუსეთი კვიპროსი, სამხრეთ კორეა და ა.შ.

მეუღლე — ნონა, შვილი — დათა აჯიაშვილი იუნყებიან ძვირფასი კასი (იოსებ) და ვითის-ძე აჯიაშვილის გარდაცვალებას.

ძმა — იმერი აჯიაშვილი ოჯახით იუნყება კასი აჯიაშვილის გარდაცვალებას.

სიდედრი — ლილი პალაგაშვილი, ცოლისძმა — მალხაზ ელიგულაშვილი ოჯახით, დეიდა — ფანია დავითაშვილი იუნყებიან კასი აჯიაშვილის გარდაცვალებას.

ზინა ხუხაშვილი, ვენერა დედიაშვილი, რინა ხუხაშვილი (აშშ) ოჯახებით იუნყებიან კასი აჯიაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა, ოთარ, ფილხაზ აჯიაშვილები უღრმესი გულისტკივილით იუნყებიან ძვირფასი კასი აჯიაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

ნათელა, ილო წინუაშვილები, ციალა, გურამ, მალხაზ ბათიაშვილები უღრმესი გულისტკივილით იუნყებიან კასი აჯიაშვილის გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

რუსუდან, მერაბ იზრაელაშვილები, გეტა, შალვა ბოთერაშვილები, მერი სეფიაშვილი ოჯახებით, დიდი გულისტკივილით იუნყებიან ძვირფასი კასი აჯიაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ნონას და დათას ძვირფასი მეუღლისა და მამის დაკარგვის გამო.

ლანა, გურამ ხარაზიშვილები, ლეილა, თემურ გაგულაშვილები, ნინო, დათო, გია წინუაშვილები, რომან, ბელა მიხელაშვილები, ნანა, გია დავარაშვილები თავიანთ შვილებთან ერთად მწუხარებით იუნყებიან ძვირფასი კასი აჯიაშვილის გარდაცვალებას და თანაგრძნობას უცხადებენ ნონას და დათას ძვირფასი მეუღლისა და მამის დაკარგვის გამო.

დაფუჟენი და გამომცემელი: გურამ ბათიაშვილი, კოტე აბაშიძე თბილისი, ლეონიძის 11<sup>ბ</sup>, ტელეფონები: 299.90.96, 277.20.57

რეგისტრირებულია ქ. თბილისის მთაწმინდის რაიონის სასამართლოში. მიმრ. რეგისტრაციის № 4/1-921

რედაქტორი გურამ ბათიაშვილი ISSN 1987-8982 UAC 070 411.16 8-557 9771987898003